მაცნე სამტრედიის

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N12 (9156) 30 აპრილი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი

3

სამტრედია ყველაზე ნორმალური მუნიციპალიტეტია

3

“მომავალ წელს ჯემალ ღაღანიძის იუბილე სამტრედიაში უნდა აღინიშნოს”

9

4

“ან დაგვისაბუთონ შტატების აუცილებლობა, ან აუდიტის ჩეკომენდაციები დააკმაყოფილონ”

2 060 800 ლარი _ სამტრედიამ ჰირველი კვარტალი გალაჭარბებით შეასრულა

3 მაისი პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეა!

5

საქრებულომ საქმის ჩავარდნის ჰირველი ჰრეცედენტი დაუშვა

საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ I ეტაპის სამუშაოები შეაჯამა

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ I ეტაპის სამუშაოები დაასრულა.

23 აპრილს კომისიის თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას კაბინეტში საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და სამდივნოს წევრები შეიკრიბნენ და კონკურსის I ეტაპის შემაჯამებელი სხდომა გამართეს. დღის წესრიგში სამი საკითხი იქნა განხილული: პირველი _ სხდომამ იმსჯელა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, ბეჟან გეგეშიძის წერილობითი მომართვის თაობაზე, რომელიც ატესტაციას დაქვემდებარებული 4 პიროვნების: ვერონიკა ხლინოვსკაიას, ნათია კვანტალიანის, ეკატერინე პაპავასა და იამზე კრავეიშვილის ატესტაციაში მონაწილეობის მიღების შესახებ. ცნობისათვის, პირველი სამი ატესტაციის პერიოდში დეკრეტულ შვებულებაში იმყოფებოდა, ხოლო ერთი _ საავადმყოფო ფურცელზე.

სხდომამ ამ უკანასკნელზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. ისინი დაშვებულნი არიან ტესტირებაზე.

მეორე საკითხი 2014 წლის 23-24 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო გამოცდებში მონაწილე დადებითი შედეგების მქონე კონკურსანტთა განცხადებების განხილვა იყო. ასეთი 38 პიროვნებაა, რომლებმაც განმეორებით გააკეთეს განაცხადი მათთვის სასურველ ვაკანსიაზე. კანონის შესაბამისად კომისიის მხრიდან გათვალისწინებული იქნა მათი დადებითი შედეგები და ისინი მონაწილეობას მიიღებენ კონკურსის მე-3 ეტაპში, ანუ გასაუბრებაზე.

მესამე საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა 2015 წლის 18 მარტს გამოცხადებული კონკურსის პირველი ეტაპის (დოკუმენტაციის გადარჩევა) შედეგების გაცნობა-განხილვა გახლდათ. სხდომაზე ითქვა, რომ სულ შემოვიდა 1146 განაცხადი. აქედან დადებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნა დააკმაყოფილა 857-მა, კონკურსს გამოეთიშა 189 აპლიკანტი. განმარტებისათვის 857-დან სწორად 336-მა შეავსო. აქედან 38 პირი 2014 წლის 23-24 დეკემბრის კონკურსში მონაწილე დადებითი შედეგის მქონეა. 336 ატესტაციას დაქვემდებარებული 4 პიროვნება დაემატება.

სხდომამ სამივე საკითხს მხარი დაუჭირა. იმავე დღეს სამდივნოს დაევალა, კონკურსანტებს პირველი ეტაპის შედეგები აცნობოს.

სავარაუდოდ, კონკურსის მეორე ეტაპი (ტესტირება) მაისის პირველ ნახევარში ჩატარდება.

2 060 800 ლარი _ სამტრედიამ პირველი კვარტალი გლეხჭარბეებით შეასრულა

ნინო ნანიტაშვილი

მიმდინარე კვირაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები კვლავ შეიკრიბნენ და სოფელ ტოლების საჯარო სკოლაზე ანზორ გოგოლაძის სახელის მინიჭებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ იმსჯელეს. მომხსენებელმა, განათლების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვრცელი ინფორმაცია გააკეთა. ანზორ გოგოლაძე, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი, 1993 წლის ოქტომბერში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დაიღუპა. ანზორ გოგოლაძე წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი იყო. მუნიციპალიტეტის საკრებულომ საკითხს ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. 27 აპრილის საკრებულომ მეიჯარე შპს ''ცოდნას'' გააუქმა ხელშეკრულება 220 მეტრ კვადრატ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და შენობა-ნაგებობაზე. ცნობისათვის, იჯარის ხელშეკრულებით შპს ''ცოდნას'' გადახდილი არ ჰქონდა 2 წლის განმავლობაში იჯარის თანხა. აღნიშნული საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემას ითვალისწინებდა.

რესპუბლიკის ქუჩაზე 1034 მეტრ კვადრატის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკრებულოს გადაწყვეტილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშენებლობისათვის გამოიყო. საკრებულოს წევრებმა აღნიშნულ საკითხს მხარი დაუჭირეს.

იმავე დღეს წარმომადგენლობითმა ორგანომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები დაამტკიცა. სოფლების მიერ შერჩეული პრიორიტეტების მშენებლობაზე 706 294 ლარი უნდა დაიხარჯოს.

27 აპრილს საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ცვლილებებს: ''კავშირ საფეხბურთო კლუბ სამტრედიას'', ''საჭიდაო კლუბ ფალავანს'', ''სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების'', გამგეობის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის სამსახურის, ბიუჯეტებში შიდა მუხლობრივ ცვლილებებს მხარი დაუჭირა. აღნიშნული საკითხების მომხსენებელმა, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ იმავე საკრებულოს სხდომაზე ანალიზი გააკეთა 2015 წლის მიმდინარე სამი თვის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე. შალვა არზუმანიანის ინფორმაციით 3 თვის ბიუჯეტი შესრულდა დაგეგმილი პარამეტრებით. 3 თვის შემოსავალმა შეადგინა 2 060 800 ლარი, რაც წლიური გეგმის 19, 5 პროცენტია. ხოლო 3 თვის გეგმასთან შედარებით _ 100, 9 პროცენტი. ანუ სამტრედიის მუნიციპალიტეტმა პირველი კვარტლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

სამი თვის ლიმიტი ერთ თვეში ამოიწურა

ნინო ნანიტაშვილი

ვიტალი თარგამაძე სოფელ საჯავახოში ცხოვრობს. თავის საკარმიდამო ნაკვეთში, ისევე როგორც მის თანასოფლელებს, მოჰყავს სიმინდი, სოია და ლობიო. გამრჯე გლეხი ბოლო წლებში მარჩენალ მიწას გამოფიტვას ამჩნევს. ამიტომაც, ნიადაგის ანალიზის მიმდინარეობის შესახებ როგორც კი გაიგო ინფორმაცია, თავის ნაკვეთში ხარისხობრივი მაჩვენებლის დადგენა გადაწყვიტა. ამისთვის მან მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, ქონების მართვის სამსახურს მიმართა. მოგვიანებით ცენტრ ''ანასეულის'' სპეციალისტმა მისი ნაკვეთიდან აღებული მიწის ლაბორატორიული კვლევა ჩაატარა. დასკვნა საგანგაშო აღმოჩნდა, რის შესახებაც ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე რუსუდან ტაკიძემ ინფორმაცია გააჟღერა. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ცენტრ ''ანასეულის'' დირექტორი სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე ნიადაგის ხარისხიანობის მაჩვენებლებზე ესაუბრა. მაგალითად ვიტალი თარგამაძის საკარმიდამო ნაკვეთი მოიყვანა: ''ანალიზმა კატასტროფული მდგომარეობა გვიჩვენა. ნიადაგში პუმუსის შემცველობა 0,8-ია, რაც ნიშნავს იმას, რომ ძალიან დაბალია ნაყოფიერება. გლეხმა სიმინდის, ლობიოს და სოიას კარგი მოსავალი რომ მიიღოს, ამისათვის საჭიროა ნაკვეთში ორგანული სასუქი შეიტანოს, კომპლექსური სასუქი ''MPK''.

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე რუსუდან ტაკიძემ გამგებლის წარმომადგენლებს ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლის დადგენის მიზნით ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება და რეკომენდაციების შედგენა შესთავაზა. ცენტრ ''ანასეულის'' დირექტორს იმ დღეს ხელთ რამდენიმე სოფლიდან აღებული ნიადაგის ანალიზის დასკვნა და რეკომენდაციები ჰქონდა. სრული ინფორმაცია გამგებლის წარმომადგენლებმაც მუნიციპალიტეტის გამგეობის აგრარულ საკითხებში მთავარი სპეციალისტის რაულ ბელთაძისაგან მიიღეს:

'' სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მმართვის სააგენტოს მითითებით საქართველოს ტერიტორიაზე ხდება ნიადაგის შესწავლის მიზნით მიწის ანალიზების აღება. ამან შემდგომში ხელი უნდა შეუწყოს ერთწლიანი თუ მრავალწლიანი კულტურების მოყვანას. მას რეკომენდაციას გაუწევს სახელმწიფო, რადგან თავიდან ავიცილოთ გლობალური დათბობის შედეგად გამოწვეული დაბალმოსავლიანობით მიღებული ზარალი, რაც პირდაპირ აისახება გლეხის ბიუჯეტზე.

ნიადაგის ხარისხის გარკვევის შემდეგ, ფერმერს თუ მცირე მეურნეს შესაძლებლობა ეძლევა, ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის რეკომენდაციის შედეგად შეარჩიოს და მოაშენოს ახალი გვალვაგამძლე მცენარეთა ჯიშები.

გაითვალისწინა რა სამტრედიის მუნიციპალიტეტმა სოფლის მეურნეობის სააგენტოს მითითება, მოწვეული იქნა შესაბამისი კვლევითი სამსახური და მუნიციპალიტეტში ჩატარდა პირველი ეტაპის სამუშაოები მიწის ხარისხის შესწავლის მიზნით, რაც განხროციელდება ეტაპობრივად და საბოლოოდ რაიონი მიიღებს სრულ სურათს ნიადაგის შესახებ. სავარაუდოდ, 3 წელიწადში დაიდება და შეიქმნება მუნიციპალიტეტის ნიადაგების რუკა, რომელიც საშუალებას მისცემს რაიონის შესაბამის სოფლის მეურნეობის სამსახურს, რეკომენდაცია გაუწიოს ნებისმიერ ფერმერს ჯიშების შერჩევაში და საჭირო სასუქების შეტანაში''.

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე სოციალური სამსახურის უფროსმა მუნიციპალიტეტის გამგებელი ერთჯერადი დახმარების მთხოვნელთა რაოდენობის ზრდაზე საქმის კურსში ჩააყენა: ''იმდენად მოიმატა ერთჯერადი დახმარების მთხოვნელთა რაოდენობამ, მეორე კვარტლის სამივე თვეში დასაფინანსებელი პროგრამის ლიმიტი მეორე კვარტლის პირველივე თვეში ამოიწურა'', ლევან ახობაძე იქვე წინადადებით შემოვიდა, რომ მუნიციპალიტეტმა შეაჩეროს ერთჯერადი დახმარების განცხადებების მიღება. მუნიციპალიტეტის გამგებელს კი საკუთარი შეთავაზება ჰქონდა: ''მივიღოთ იმ მოქალაქეთა განცხადებები, რომელთა ჯანმრთელობა უკიდურეს მდგომარეობაშია და გადაუდებელ მკურნალობას საჭიროებს''.

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, ზურაბ გოგიას ინფორმაციით სოფლის მხარდამჭერი პროგრამით დღეისათვის ყველა სოფელს შედგენილი აქვს ოქმები, რომლებიც განხილულ იქნა საკრებულოზე. გაგზავნილია ინფრასტრუქტურის სამინისტროში და მოწონებულია, თანხა შეადგენს 706 294 ლარს.

ცნობისათვის, აღნიშნული თანხა 135 ინფრასტრუქტურულ პროექტებზეა განაწილებული.

რეგიონული განვითარების ფონდის პროგრამით 4 პროექტი გადაგზავნილია ინფრასტრუქტურის სამინისტროში. კომისიის მიერ მოწონებულია, იგი დასამტკიცებლად მთავრობის უახლოეს სხდომაზე გავა. ეს პროექტებია: პირველი _ მაღალ მთიან სოფლებში გომის, საჯავახოს, ტოლების, ოფეთის, გამოჩინებულის, გორმაღლის სასმელი წყლის რეაბილიტაცია; მეორე _ ქალაქის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია; მესამე _ ქალაქის ტერიტორიაზე ყველა საბავშვო ბაღის და დაბა კულაშის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია; მეოთხე _ სათნოების სახლის რეაბილიტაცია.

ზურაბ გოგიას ინფორმაციით, ინფრასტრუქტურის სამინისტროში განსახილველად წარდგენილია ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის და ორი სამუსიკო სკოლის _ დომენტი შანიძის სახელობისა და დაბა კულაშის სამუსიკო სკოლების რეაბილიტაციის პროექტები. ამ ეტაპზე დარჩენილია მხოლოდ ქალაქის ქუჩების საგზაო ნიშნებისა და ბარიერების პროექტები, ასევე, ვიდეო თვალის შესყიდვა.

არის, ასრულდა ოცნება!

ყოჩაღ მერი! ყოჩაღ დათო!

28 აპრილს დასრულდა ჩინეთში მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს, რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთის, უკრაინის, ყაზახეთის, სომხეთის, აშშ-ის, პოლონეთისა და ეგვიპტის უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების წევრები.

ტურნირი 9 ტურად ჩატარდა, ქართველ ქალ მოჭადარაკეთა ნაკრებმა ბრწყინვალედ იასპარეზა. მათ ზედიზედ 8 შეხვედრა მოიგეს და პირველად მოიპოვეს მსოფლიოში ესოდენ პრესტიჟული ტიტული. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენდა საამაყოდ გუნდის კაპიტანი და მწვრთნელია სამტრედიელი, საერთაშორისო დიდოსტატი, ფრიად ერუდირებული პიროვნება, დავით ჯოჯუა. ნაკრების მთავარი მწვრთნელი _ ელიზბარ უბილავა. ჩვენმა თანაქალაქელმა, უნიჭიერესმა მერი არაბიძემ, რომელიც გუნდის ყველაზე უმცროსი მონაწილე იყო, უდანაკარგოდ იასპარეზა და ბოლო ტურში ჩინელი მოჭადრაკის დამარცხებით მერის მოგებამ გადაწყვიტა ტურნირის ბედი.

ჩვენმა საამაყო ''ოქროს გოგონამ'' თავის დაფაზე საუკეთესო შედეგისათვის ოქროს მედალი მოიპოვა და საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა. არის, ასრულდა ოცნება!

ვულოცავ თითოეულ მონაწილეს, გუნდის კაპიტანს, დავით ჯოჯუასა და მერი არაბიძეს ამ უდიდეს წარმატებას!

გულიკო გუგიტიძე
ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრი

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებს დიდ წარმატებას, მსოფლიო ჩემპიონობას ვუსურვებ!

დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს, რომ მსოფლიოს ქართველ ქალთა ნიჭიერება დაამტკიცეთ, რომ საქართველოს ჰიმნს ისეთი დიდი ჟღერადობა არგუნეთ.

ჩვენთვის, სამტრედიელებისათვის, ორმაგად სასიხარულოა, რომ ამ წარმატებაში ლომის წილი ჩვენს თანაქალაქელებს, გუნდის კაპიტანს, დავით ჯოჯუასა და ახალგაზრდა, 17 წლის მოჭადრაკე მერი არაბიძეს უდევთ. როცა ამ რამდენიმე თვის წინ მერის ჩემი ახლად გამოცემული წიგნი: ''წარსული, რომელიც დასავიწყებლად არ მემეტება'' ვაჩუქე, მას ასეთი წარწერა წავუმძღვარე:

''შე, ჭადრაკი მესმის როგორც გონიერთა ბრძოლის ველი,
იყო ნონა, იყო ნანა, ახლა უკვე მოდის მერი''.

ასევე თხუთმეტი წლის წინ, როცა რესპუბლიკის ერთ-ერთ გაზეთში, სრულიად ახალგაზრდა მოჭადრაკის დავით ჯოჯუაზე სათაურით ''დაიმახსოვრეთ გვარ-სახელი დავით ჯოჯუა'' საკმაოდ ვრცელი სტატია გამოვაქვეყნე, მკითხველს იგი, როგორც მომავალი მსოფლიო ჩემპიონი ისე წარვუდგინე. დიდი მადლობა ჩემო კარგებო, რომ წინასწარმეტყველება ასე მალე ამიხდინეთ.

სრული იმედი მაქვს, რომ მომავალში ერთ ასეთ სურვილს ამისრულებთ: ''ეხ რაზ, ეშო რაზ, ეშო მნოგო, მნოგო რაზ!''

სიმონ ბერის ფეხვერაძეები

სამტრედია ყველაზე ნორმალური მუნიციპალიტეტია

გივი ჭიჭინაძის პირველი ოფიციალური ვიზიტი გუბერნატორის რანგში სამტრედიაში ფოლკლორულ ანსამბლ ''ლილეს'' პრემიერაზე შედგა. მართალია, განწყობა სამხიარულო იყო და იმ დღეს უფრო სადღესასწაულო დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ გუბერნატორი საქმიან საუბარს მაინც ვერ ასცდა კულტურის ცენტრის შენობაში. კულტურულ სფეროში საკუთარი გამოცდილებით გაკეთებული კომენტარების შემდეგ, გივი ჭიჭინაძემ იმერეთის განვითარების გეგმით რეგიონის აღმავლობაზე ისაუბრა: ''განწერილია ყველა ნიუანსი, როგორ გვესახება პრობლემების მოგვარება ქვეყნისთვის ამ მნიშვნელოვან რეგიონში. გასაგებია, და პირველ რიგში, ხელისუფლების, ქვეყნის მთავრობის მოსაგვარებელია პრობლემები, რომელიც მოსახლეობას დღეს აწუხებს. დამერწმუნეთ, ყველაზე უფრო სწორედ ხელისუფლებას სურს, ყველაფერი რიგზე იყოს ქვეყანაში. უახლოეს მომავალში იგრძნობს იმერეთის მოსახლეობა ჩვენი მუშაობის შედეგს.''

რაც შეეხება სამტრედიას, აქ ვარ გაზრდილიო, გუბერნატორმა და ეწერში გატარებული ბავშვობა გაიხსენა. ღიმილიანი თემაა, მუნიციპალიტეტის მაჟორიტარს და გამგებელს გუბერნატორიც ეწრელი რომ დაემატაო, გვითხრა. იქვე კი დასძინა: ''სამტრედიის ყველა სოფელს კარგად ვიცნობ. იმერეთის რეგიონში სამტრედია ყველაზე ''ნორმალური'' მუნიციპალიტეტია. ამაში იგულისხმება, რომ სხვა მუნიციპალიტეტებში გაცილებით მეტი და ძნელად მოსაგვარებელი პრობლემები აქვთ, ვიდრე აქ. მალე დავიწყებთ ვიზიტებს ყველა რაიონში და მათ შორის სამტრედიაშიც, რომელთაც მარტო ვიზიტების დატვირთვა არ ექნება და ყველა მათგანი გადაჭრილი პრობლემით და თვალხილული საქმით დასრულდება. დასაქმება დღეს ქვეყნის მასშტაბით სასიცოცხლოდ მოსაგვარებელი საკითხია. გაზაფხულს არაერთი გახსნილი საწარმო და დასაქმების კერა მოჰყვება. ამის სურვილი შემართება და მონდომება არის იმ პასუხისმგებლობის ფარგლებში, რასაც დაკისრებული მოვალეობა გვანიჭებს''._ აღნიშნა გუბერნატორმა.

პირველი ოფიციალური ვიზიტი ამაღლებული განწყობით დასრულდა. ახლა საქმიანი ვიზიტების ჯერია, მოგვარებული პრობლემების დაპირებული ნუსხით.

თეა ბაბუნაშვილი

ყველას ეგონა, ენეხში გზა დაგებული იყო

ნინო ნანიტაშვილი

22 აპრილის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მხარი დაუჭირა ქალაქისა და სოფლების ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. კერძოდ, ასფალტბეტონის საფარის დაგებას თაბუკაშვილის, ნადირაძის, პაპავას, ფანჯიკიძისა და გამრეკელიძის ქუჩების, წერეთლის პირველი ჩიხის, კაკაბაძის ქუჩის, ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ოჭოფისა და სოფელ გვიმრალას, გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ კორმაღლის გზის სავალ ნაწილებზე. ოთხ საკითხად ჩამოყალიბებული თემების ირგვლივ ინფორმაციისა და საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოხსენებები გაკეთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ უღრელიძემ.

ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე თაბუკაშვილის, ნადირაძის, პაპავას, ფანჯიკიძისა და გამრეკელიძის ქუჩების, წერეთლის პირველი ჩიხის გზის სავალ ნაწილში ასფალტბეტონის საფარის დაგების სამუშაოები პირველ ივნისს დაიწყება და პროექტის მიხედვით 7 ივლისამდე გაგრძელდება. ღირებულება 284 081 ლარია.

ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე კაკაბაძის ქუჩის გზის სავალ ნაწილზე იგივე სახის სამუშაოები იგივე ვადებშია გაწერილი და სამუშაოების ღირებულება 89 000 ლარს შეადგენს. ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფელ

ოჭოფას და სოფელ გვიმრალას გზის სავალ ნაწილზე ასფალტბეტონის საფარის დაგება ასევე 7 ივლისისთვისაა გათვალისწინებული 226 999 ლარის ფარგლებში. 190 000 ლარი უნდა დაიხარჯოს გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ კორმაღლის გზის სავალ ნაწილზე ასფალტბეტონის საფარის დაგების სამუშაოებზე.

მშვიდობიანი თემების მიუხედავად ვნებათაღელვისა და ურთიერთბრალდებების გარეშე არც 22 აპრილის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ჩაუვლია. ოპოზიციური ფრაქციის წევრებს ეჭვი შეაქვთ ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში ორი მიმართულებით გზის სავალი ნაწილის ასფალტბეტონის საფარის დაგების კანონიერებაში. ემზარ შუბლაძის აზრით ბალანსის არ დაცვა ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესიდან გამომდინარეა. მომხსენებელთან ოპოზიციონერ კოლეგას სხვა შენიშვნაც ჰქონდა: ''ბატონმა მერაბმა ბრძანა, რომ ეწერში პირველად იგება გზაო, მაგრამ ეს ასე არ არის. თუ მისასვლელი გზა არ გაკეთდებოდა, ბუნებრივია, ეწრის გზის მშენებლობას ვერ დავიწყებდით იქიდან, საიდანაც უშუალოდ ეწერი იწყება. ჩვენ 400 მეტრი ეწრის მიმართულებით შესულები ვართ. ასევე, პატარა ეწრის მი-

მართულებითაც ჩავედით. დღევანდელ საკრებულოზე შენიშვნები ჰქონდა კონკრეტულ საკითხზე: 1 კილომეტრი და 200 მეტრი იგება პატარა ეწრის მიმართულებით, ეწრის ცენტრალური, მთავარი ქუჩა კი რასაც ქვია, იქ იგება 600 მეტრი. ოპოზიციის წინადადება იყო, გაგვეყო შუაში თანხა და 900 მეტრი ერთი მიმართულებით დაგებულიყო და 900 _ მეორე მიმართულებით. არ ვმალავთ, პატარა ეწერში ცხოვრობს მაჟორიტარი დეპუტატი და ჩვენი აზრით, იქ იგება უფრო მეტი დეპუტატის ხათრით.

ჩვენ შარშან გავავით შუაში და 400 მეტრი წავედით ეწრის, 400 _ პატარა ეწრის მიმართულებით. წელსაც იგივე უნდა ყოფილიყო. ჩვენმა შეთავაზებამ გაღიზიანება გამოიწვია უმრავლესობაში, რაც ძალიან სამწუხაროა''.

ოპოზიციის ამ პოზიციას არ იზიარებს მერაბ უღრელიძე. ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ''ნაციონალების'' ფრაქციის ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს და თავის მხრივ ამბობს, რომ გამორჩეული მოაზროვნეების დამსახურებით ამა თუ იმ ქუჩის კეთილმოწყობა ყოფილი ხელისუფლების ხელწერა იყო:

''ოპოზიციის მოვალეობა ისაა, რომ კრიტიკით მოექცეს ასეთ თემებს. რადგან დეპუტატი ცხოვრობს, უფრო ზუსტად, პატარა ეწერი გიორგი კახიანის სოფელია, ბიძის, იმედა კახიანის სახლში გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა, ოპოზიცია გვსაყვედურობს, რატომ წავიდა ამ მიმართულებით გზის სამუშაოები. სინამდვილეში კი ეს იყო სამხედრო დანიშნულების გზა, თან ქუთაისთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, სოფლების დიდი ჯიხაიშის და ყაზბეგის გავლით. ავტობანის მშენებლობის გამო მან, მართალია დაკარგა ეს ფუნქცია, მაგრამ იქ ყოველთვის იყო დაგებული ასფალტი და ცენტრალური დანიშნულების გზად ითვლება. ამ გზის მშენებლობა არავითარ კავშირში არ არის დეპუტატთან. ჩვენი მთავარი მიზანი იყო ეკლესიამდე მისასვლელი გზა მოგვეწესრიგებინა. 200 მეტრი გვაკლდება, დეპუტატის სახლამდე რომ მისულიყო. სამი წელია, გიორგი კახიანი პარლამენტში სამტრედიის მაჟორიტარია, მანამდეც შეეძლო თავი გამოეჩინა, გინდა, თუ არა ჩემს ქუჩაზეც დააგეთ გზაო, მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა. ბოლო 10 წლის განმავლობაში, მახსოვს, სულ იყო საუბარი ეწრის მიმართულებით გზა დაგებულიყო, ეწრის ცენტრამდე იგეგმებოდა 3 კილომეტრ-ნახევრის დაგება, ეწრის დღის ცენტრამდე უნდა მისულიყვნენ. გამოღმა გვედავებიან იმას, რასაც თავად სჩადიოდნენ. მაგათ ხელში ხდებოდა სხვადასხვა სოფლებში, სხვადასხვა მიმართულებით სამუშაოების გადაქაჩვა, სადაც აწყობდათ, იქ აკეთებდნენ გზას. მე ასეთი ინფორმაცია მაქვს და მართლაც ასე იყო, შარშანწინაც იგეგმებოდა ეწრის ცენტრისაკენ 2 კილომეტრი გზა დაგებულიყო, მაგრამ არც ერთი მეტრი არ დაგებულა. სახელად არქმევდნენ ეწრის მიმართულებას, სინამდვილეში ქალაქისა და მელაურის გზები იგებოდა. მართალია, ეწრელები ეწერში ისე ვერ მივლენ, თუ არ გაიარეს ეს 5-6 კილომეტრი მონაკვეთი, ჰოდა, რობაქიძის, მუსხელიშვილის ქუჩების გზის მშენებლობები დაერქმიათ და არა ეწრის მიმართულება. ყველას ეგონა, რომ ეწერში გზა დაგებული და კეთილმოწყობილი იყო, არადა, ეწერში გზა მართლაც პირველად იგება''.

"ან დაგვისაბუთონ შტატების აუცილებლობა, ან აუდიტის რეკომენდაციები დააკმაყოფილონ"

ნინო ნანიტაშვილი

"სამტრედიის მაცნეს" წინა ნომერში დაბეჭდილმა სტატიის "აუდიტმა სარეკომენდაციო წერილები მოამზადა" გამოქვეყნების შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის 3 თვიანი საქმიანობის შესახებ თავისი მოსაზრება მუნიციპალიტეტის გამგებელმა გამოთქვა. ვალერიანე ფოცხვერიას შეფასებით, მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით: "მართალია, აუდიტის სამსახური ახალი შექმნილია, იგი აქამდე მუნიციპალიტეტის დონეზე არ არსებობდა. აუდიტორულ შემოწმებას ძირითადად მოწვეული აუდიტები ახორციელებდნენ. ახალმა კანონდებლობამ მოგვცა იმის საშუალება, შიდა აუდიტის სამსახური ჩამოგვეყალიბებინა. მე სამტრედიის მაგალითზე შემიძლია, გესაუბროთ, აღნიშნულ სამსახურში დასაქმებული 5 თანამშრომელი თავს კარგად ართმევს დაკისრებულ ვალდებულებებს. გვაქვს ორი _ მონიტორინგის და კონტროლისა და ინსპექტირების განყოფილებები. ისინი ვალდებულები არიან ჩემს, ანუ გამგებლის წინაშე. ჩატარებული სამუშაოების შესახებ პერიოდულად მაწვდიან რეკომენდაციებს.

თქვენი გაზეთის წინა ნომერში იყო ინფორმაცია ცალკეულ ააიპ-ებში არსებული მდგომარეობის შესახებ. როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, ნამდვილად დაგვხვდა გაბერილი შტატები. მარტო გამგეობაში 200-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული. დღევანდელმა კანონმდებლობამ შეზღუდა ეს ციფრი, ჩვენ დაახლოებით 156-მდე შეიძლება თანამშრომელი გვყავდეს.

როდესაც აუდიტის სამსახური კომპლექტდებოდა, ძირითადად აქცენტი პროფესიონალიზმზე გვქონდა აღებული. აქ უპირველესად ის ხალხი შეიკრიბა რომლებსაც ფინანსური შემოწმების კუთხით დიდი გამოცდილება აქვთ შეძენილი. ესენია: თამარ ჯიბაშვილი, დალი ხუჭუა, ზაალ ჭოხონელიძე. მათ საქმიანობა ააიპ-ებში შესვლით დაიწყეს, რაც ემსახურება არა ვინმეს დაშინებას, არამედ იქ არსებული ხარვეზების აღმოჩენას. აუდიტორები რეკომენდაციებს ამზადებენ მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის. სტატიაში ინსპექტირების განყოფილების უფროსი ღიად და დაუფარავად ამხელდა კონკრეტულ ფაქტებს. ია ბერძული პირადად ჩემი გადაწყვეტილებით დაინიშნა, მე მას ვენდობი, იგი კვალიფიციური კადრია, გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, არ არის ტენდენციური. თუმცა, არ დავასწრებ მოვლენებს და დაინტერესებული საზოგადოებისთვის მოგახსენებთ, რომ აუდიტის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები იურიდიული სამსახურის მიერ იქნა შესწავლილი კონკრეტულ ააიპ-ებს მიეცათ 7 დღიანი ვადა თავიანთი მოსაზრებების წარმოსადგენად. შესაძლებელია, ხელმძღვანელებმა დაგვისაბუთონ ცალკეული შტატების საჭიროება, ან აუდიტის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები დააკმაყოფილონ".

პრემიერის თანხმობა სამტრედიელებს პრობლემას მოუხსნის

საკრებულოს ერთ-ერთ სხდომაზე იურიდიული კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის მიერ გამოტანილი საკითხი თუ გადაწყდა, მართლაც შვება იქნება სამტრედიის მოსახლეობისთვის. ძირითადად, ქალაქის ტერიტორიაზე, საერთო საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოსახლეობა იხეირებს, რომელთაც დღემდე ძალიან უჭირდათ, თითქმის შეუძლებელიც ხდება საკუთარი საცხოვრებელი ბინის დარეგისტრირება. მიზეზი 1988 წლის დეკემბერში დამწვარი ე. წ. ძველი სასტუმროს შენობაა, რომელშიც სხვა ორგანიზაციებთან ერთად განთავსებული იყო რაიონული არქივი, ტექინვენტარიზაციის ბიურო, სახელმწიფო ქონების მართვის სამტრედიის რაიონული სამმართველო და რაიონის ორივე სანოტარო ბიურო. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ მოსახლეობას მნიშვნელოვნად ურთულდება საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება, რადგან უმრავლესობას ხელთ არ აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია და მტკიცებულებები.

წინა მოწვევის საკრებულომ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან კონსულტაციებით, რამდენადმე მოაწესრიგა სიტუაცია და "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონისა და "ფიზიკური პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 აქტემბრის N 525 ბრძანებულებაზე დაყრდნობით გამოსცა განკარგულება, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების საკუთრებად რეგისტრაციისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ", ნათქვამია დოკუმენტში, რომელიც მანანა სირბილაძის მიერ იქნა მომზადებული პრემიერ-მინისტრ, ირაკლი ღარიბაშვილის სახელზე.

იქვე აღინიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 24 თებერვლის მე-15-ე, 2013 წლის 26 სექტემბრის 185-ე, და 2014 წლის 13 მაისის 94-ე განკარგულებებით, მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა მიწის ნაკვეთებსა და მის არსებით შემადგენელ ნაწილზე, შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

პრობლემა ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ მოსახლეობას, რომელიც პრივატიზებულ ან გარიგებით, ან კიდევ, მემკვიდრეობით მიღებულ ბინებში ცხოვრობს და შესაბამისი დოკუმენტაცია ხელთ არ გააჩნია, მაინც არ მოხსნია. იგი ქალაქის მოსახლეობის თითქმის 80 პროცენტს კვლავ აწუხებს. ამიტომ, როგორც იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, მანანა სირბილაძე აღნიშნავს: "საქართველოს მთავრობის განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნება უნდა დაერთოს, შეჰქმნას კომისია, რომელიც შესაბამისი მოკვლევის შემდეგ გასცემს საცხოვრებელი ბინის მართლზომიერად ფლობის შესახებ დასკვნას საკადასტრო აზომვით ნახაზზე, ცენტრალური არქივიდან აღებულ შესაბამის დოკუმენტზე, აგრეთვე ცნობაზე, რომელშიც მითითებულია, რომ ეს პირი აღნიშნულ მისამართზე მის ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობს და ცხოვრობდა 1998 წლამდე, მეზობლების სანოტარო წესით დადასტურებულ დასტურზე დაყრდნობით. შესაბამისი მოკვლევის შემდეგ გაცემული დასკვნა ბინის მართლზომიერად ფლობის შესახებ, საფუძველი იქნება იმისა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ეს პირი დაარეგისტრიროს, მის მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ."

წერილი პრემიერის სახელზე უკვე გაგზავნილია. მისი თანხმობა სამტრედიელებს დიდ პრობლემას მოუხსნის.

თეა ბაბუნაშვილი

მაჟორიტარი სკოლების დირექტორებს შეხვედრა

თეა ბაბუნაშვილი

მას შემდეგ, რაც პარლამენტმა უკვე დააკანონა, რომ წელს სკოლაში შესასვლელი ასაკი ექვსი წელია და 14 სექტემბრამდე დაბადებულების გარდა, ერთი დღის შემდეგ დაბადებულიც ვერ გახდება პირველკლასელი, იმ შეხვედრის შედეგებზე საუბარი, მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრში რომ შედგა, დაგვიანებულიცაა. მას ყველა საჯარო სკოლის დირექტორი ესწრებოდა. მათი აზრი, თუ იგი ვინმეს დააინტერესებდა, ხუთი წლის ბავშვებისთვის სწავლის დაწყებას ემხრობოდა. გარდა აკადემიური მოსწრებისა, ამის საჭიროებას იმიტომაც ხედავენ, რომ თუ ასე არ მოხდა, კლასების ის რაოდენობაც ვერ გაიხსნება, რაც აქამდე ჰქონდათ და პედაგოგებს უმუშევრობა ემუქრებათ. თუმცა, ეს საკანონმდებლო ინიციატივა უკვე ინიციატივა აღარ არის, იგი კანონია!

იქვე ყურადღება გამახვილდა იმაზეც, რომ მოსალოდნელია ე. წ. "პრესქულების" გახსნა. იგი მოსამზადებელი ჯგუფის მსგავსი კლასი იქნება იმ ბავშვებისთვის განსაზღვრული, რომლებიც პირველ კლასში ვერ მოხვდნენ და საბავშვო ბაღის უფროს ჯგუფში დასარჩენი ასაკიც აღარ აქვთ.

გარდა ამისა, პირველი საჯარო სკოლის დირექტორმა, ხათუნა ფაილაძემ დააყენა საკითხი, რომ "ჩვენი ძირითადი საქმიანობაა, ბავშვებს სრულყოფილი განათლება მივცეთ. კანონმდებლობით, ეროვნული სასწავლო გეგმით, გაწერილი გვაქვს რამდენი პედაგოგი უნდა გვყავდეს, როგორ და რამდენი საათის ჩატარების უფლება აქვს თითოეულ მათგანს, და ა. შ. ადამიანები ვართ და არის შემთხვევა, როცა პედაგოგი, თუნდაც ავადმყოფობის გამო, ვერ მოვიდა სკოლაში. ყველა მასწავლებელი ისეა დაკავებული, კადრი აღარ მრჩება გაცდენილ გაკვეთილზე შევუშვა. აქამდე ძალიან კარგი პროგრამა ხორციელდებოდა, სტაჟიორები გვყავდა სკოლაში. კარგი იქნებოდა და საჭიროცაა, სარეზერვო მასწავლებელი მყავდეს, რომელსაც გამოძახების შემთხვევაში ჩატარებულ საათებს ავუნაზღაურებ. განსაზღვრული საათების გარდა, დირექტორსაც არ აქვს გაკვეთილის ჩატარების უფლება. უსასყიდლოდაც ჩავატარებ, მაგრამ კანონი კრძალავს ამას. კანონი ითვალისწინებს და განათლების სამინისტროში გავაგზავნე მოთხოვნა, როცა დასჭირდა სკოლას ზედმეტი საათები ჩამეტარებია, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიმიღია." მეოთხე საჯარო სკოლის დირექტორმა ნუგზარ კუციამ, დეპუტატს სთხოვა, გაეწია შუამდგომლობა, ტენდერების ეკონომიით გამოყოფილი თანხა სკოლას დარჩენოდა, რადგან შენობა სავალალო მდგომარეობაშია და ასე მიეცემათ საშუალება, განსაზღვრული სამუშაოების მოცულობა გაზარდონ. მსგავსი სურვილი რამდენიმე სკოლის დირექტორმა გამოთქვა.

ინფრასტრუქტურული საკითხები _ კარ-ფანჯრის გამოცვლა, სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები, სახურავიდან ჩამოსული წყალი, ელექტროგაყვანილობის განახლება, მოსაწესრიგებელი სპორტული დარბაზები, თითქმის ყველა სკოლის პრობლემა აღმოჩნდა.

მაჟორიტარი გიორგი კახიანი მათ კანონმდებლობის ფარგლებში დახმარებას დაპირდა. აღმოჩნდა ისეთი თემებიც, რომლებშიც ჯერ თავად უნდა გავერკვეო, აღნიშნა. "ქვეყნის პრიორიტეტი, ჯანდაცვასთან ერთად განათლების სფეროც გახლავთ. ყველაფერი კეთდება, რომ ქვეყნის მომავალი ხვალ საამედო ხელში აღმოჩნდეს. ეს კი მხოლოდ განათლებულ თაობას შეუძლია. მოგეხსენებათ, კანონი ყველგან კანონია. განადგომლობა, ტენდერების ეკონომიით გამოყოფილი თანხა სკოლას დარჩენოდა, რადგან შენობა სავალალო მდგომარეობაშია და ასე მიეცემათ საშუალება, განსაზღვრული სამუშაოების მოცულობა გაზარდონ. მსგავსი სურვილი რამდენიმე სკოლის დირექტორმა გამოთქვა.

ინფრასტრუქტურული საკითხები _ კარ-ფანჯრის გამოცვლა, სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები, სახურავიდან ჩამოსული წყალი, ელექტროგაყვანილობის განახლება, მოსაწესრიგებელი სპორტული დარბაზები, თითქმის ყველა სკოლის პრობლემა აღმოჩნდა.

მაჟორიტარი გიორგი კახიანი მათ კანონმდებლობის ფარგლებში დახმარებას დაპირდა. აღმოჩნდა ისეთი თემებიც, რომლებშიც ჯერ თავად უნდა გავერკვეო, აღნიშნა. "ქვეყნის პრიორიტეტი, ჯანდაცვასთან ერთად განათლების სფეროც გახლავთ. ყველაფერი კეთდება, რომ ქვეყნის მომავალი ხვალ საამედო ხელში აღმოჩნდეს. ეს კი მხოლოდ განათლებულ თაობას შეუძლია. მოგეხსენებათ, კანონი ყველგან კანონია. განათლების სამინისტროს მიდგომა ყველა მუნიციპალიტეტთან, ყველა სკოლასთან ერთნაირი იქნება, ეს ბუნებრივია. რაც შეეხება, ტენდერებიდან მორჩენილ თანხებს, მარტო სამტრედიისთვის არ იქნება სხვანაირად, იქნება ისე, როგორც ამას კანონმდებლობა ითვალისწინებს, თუმცა, გპირდებით, რომ ამ საკითხს დავაყენებ განათლების სამინისტროში."

თითქმის ყველა სკოლის დირექტორმა სურვილი გამოთქვა, რომ სკოლების მიმდებარედ, ტრასაზე თუ ქუჩაზე აუცილებლად გაკეთდეს ბარიერები, დაიდგას საგზაო ნიშანი, რომელიც მიანიშნებს, რომ ახლომახლო სკოლაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული უბედური შემთხვევები.

დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი, თინათინ ხარძიანი დაინტერესდა, რამდენად ხარისხიანია უკვე ჩატარებული სარემონტო სამუშაოები. დირექტორებმა დააყენეს საკითხი, რომ ამუშავდეს პროგრამა, რომელიც რეაბილიტირებულ სკოლებში ჩატარებული სამუშაოების შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

მელაურის სკოლის დირექტორმა ნინო ნიკოლეიშვილმა, მის სკოლაში ორჯერ მომხდარი ძარცვის ფაქტი გაიხსენა, როცა მძარცველი გაკვეთილზე შეიჭრა და პედაგოგს ნიშნობის ბეჭედი წაართო თითიდან. მან მანდატურის სამსახურის პროგრამაში ჩართვა ითხოვა, რომ სკოლა უფრო დაცული იყოს.

შეხვედრას კერძო სკოლების დირექტორებიც ესწრებოდნენ. სამტრედიაში ორი კერძო სკოლა, "ცოდნა" და მართლმადიდებლური სკოლა ფუნქციონირებს. სკოლა "ცოდნას" დირექტორმა, მარინა ნადირაძემ სურვილი გამოთქვა, განათლების მინისტრამდე მისულიყო მათი თხოვნა, იქნებ პირველკლასელებისთვის განკუთვნილი "ბუქები" მათ მოსწავლეებსაც ერგოთ და ისინიც იქნენ ჩართულები პროგრამაში "ჩემი პირველი კომპიუტერი".

დაგროვილ პრობლემებსა და საინტერესო საკითხებზე საუბარი მათი მოგვარების პროგნოზებით დასრულდა.

გმადლობთ, გურამ ექიმო!

კვალიფიციური, პროფესიონალი მკურნალების ნაკლებობას არასოდეს განიცდიდა სამტრედია. დიდი ხანია ექიმ გურამ მშვიდობაძის ავტორიტეტი გასცდა სამტრედიის ფარგლებს. მრავალად გვხვდებიან მისით, როგორც ექიმით კმაყოფილი ადამიანები.

თებერვლის შუა რიცხვებში მამის ავადმყოფობის გამო მასთან მოგვიწია ურთიერთობა. უტყუარი დიაგნოსტიკის, სწორი დანიშნულების, სარეაბილიტაციო პერიოდის მიზნობრივად განსაზღვრის წყალობით პაციენტის მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა.

ოჯახის სახელით უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ღვაწლმოსილ ექიმს, ბატონ გურამ მშვიდობაძეს გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს მისებრ პროფესიონალი ექიმები.

ლევან გაგნიძე ლიკანით

საკრებულომ საკითხის ჩავარდნის პირველი პრეცედენტი დაუშვა

ნინო ნანიტაშვილი

27 აპრილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-2 საკითხის განხილვამ ხმაური გამოიწვია. ვიდრე კონკრეტული საკითხი კენჭისყრაზე დადგებოდა, ფრაქცია "რესპუბლიკელების" ლიდერმა კოლეგების ყურადღება მიიპყრო და ადგილიდან გაკეთებული განცხადებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო ცენტრის გამგეობის უშუალო დაქვემდებარებაში გადასვლასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გაგვაცნო. იმედა გოგავას პროტესტი გამოიწვია გამგებლის მცდელობამ, "საკრებულოს საინფორმაციო ცენტრს, სავარაუდოდ, ჯერ პატრონი, შემდეგ ფუნქცია შეუცვალოს".

სამტრედიის საკრებულოს საინფორმაციო ცენტრის წესდებაში ცვლილების შეტანისათვის რამდენიმე დღის წინ მუნიციპალიტეტის გამგებელმა საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ მიმართა. ერთი შეხედვით უწყინარი თანხმობა, რომელიც მოგვიანებით უმრავლესობისთვის გახდა ცნობილი, ფრაქცია "რესპუბლიკელებისათვის" უწყინარი არ აღმოჩნდა და მათ შეძლეს ახალი მოწვევის საკრებულოში საკითხის ჩავარდნის პირველი პრეცედენტი დაეშვათ.

იმედა გოგავა: "ჩემი აზრით, აღნიშნული ცვლილებები საკრებულოსთვის იყო დისკრედიტაციის მცდელობა. მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო ორი დამოუკიდებელი ორგანოა, ანუ გამგეობას საკუთარ საშტატო ერთეულში, რომელიც საკრებულოს მიერ ორიოდე თვის წინ არის დამტკიცებული, შავით თეთრზე უწერია, რომ გამგეობას აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება 7 საშტატო ერთეულით. თუმცა ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო მიმდინარე კონკურსში აღნიშნულ პოზიციაზე ვაკანსიები არ გამოცხადდა, რაც მაძლევს საფუძველს იმისას, რომ ვთქვათ, გამგეობა რაღაც მიზეზების გამო თავს იკავებს აღნიშნული სამსახური კომპეტენტურად დაკომპლექტდეს. რაც შეეხება საკრებულოს საინფორმაციო ცენტრს, იგი ააიპ-ია, არ ექვემდებარება საკონკურსო შერჩევას, შესაბამისად, სრული შემადგენლობის ჩანაცვლება გამგეობისათვის მარტივი და უმტკივნეულო შეიძლებოდა აღმოჩენილიყო. აქვე მინდა, დავძინო, რომ საინფორმაციო ცენტრი ძალიან კარგად მუშაობს, კომპეტენტური და გამოცდილი თანამშრომლები ჰყავს, ისინი ინფორმაციებს ოპერატიულად და ობიექტურად აშუქებენ. იმას მაინც იმსახურებენ, რომ საკითხის გადაწყვეტა, მათთან ყოფილიყო შეთანხმებული. დავამატებ იმას, რომ ფაქტობრივად, მოუმზადებლად იყო გამოტანილი. ეს შედეგზეც აისახა: წინააღმდეგი მარტო ჩვენი ფრაქცია არ აღმოჩნდა, თანხმობას, პრაქტიკულად, 5-მა დეპუტატმა მისცა ხმა. ძნელია, წინასწარ განსაზღვრო, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ, შემიძლია, ახლავე გითხრათ, მე, როგორც ერთი დეპუტატი, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ საკრებულო ყოველთვის იყოს თავის სიმაღლეზე და არ დაუშვას მსგავსი მიუღებელი პრეცედენტები".

საკრებულოს სხდომაზე თავისი მოსაზრება "ნაციონალმა" მამუკა ბიბილეშვილმა გამოთქვა. განსხვავებული პოზიციის მქონე კოლეგის მსგავსად მასაც კონკრეტული საკითხის ამ ფორმით გამოტანამ ბევრი კითხვის ნიშანი გაუჩინა.

საკრებულოში "თვითმმართველობა ხალხს" პარტიული სიით შესული ავთანდილ სტურუა 2008 წლის იანვარს იხსენებს, როცა მაშინდელმა საკრებულომ საინფორმაციო ცენტრის შექმნის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო. მუნიციპალიტეტის გამგეობის დაქვემდებარებაში საკრებულოს საინფორმაციო ცენტრის გადასვლას 27 აპრილის სხდომაზე ისიც კატეგორიულად შეეწინააღმდეგა: "მიმაჩნია, რომ 2008 წლის იანვარში გაკეთდა ძალიან კარგი რამ. საინფორმაციო ცენტრი ამ შემადგენლობით ყოველთვის იძლევა ამომწურავ ინფორმაციას. ჩემი ხელის აწევით მხარს ვერ დავუჭერ იმ საკუთარების გამგეობაზე გადაცემას, რაც საკრებულოს მონაპოვარია".

სოფიო კირთაძე საკრებულოს საინფორმაციო ცენტრის დირექტორია შექმნის დღიდან. აღნიშნული ფაქტის წინაშე ისიც სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა: "როდესაც იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ჩვენი სამსახურის წესდება მოითხოვა, გამიჩნდა კითხვები, რატომ დაინტერესდა იგი ჩვენი საკითხით. ასევე, სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი კომისიის სხდომაზე, სადაც განიხილებოდა საინფორმაციო ცენტრის საკითხი. მე ვარ კანონმორჩილი და ძალიან კარგია, თუ ყველაფერი კანონის შესაბამისობაში მოხდება, თუმცა პატივს ვცემ ადამიანის უფლებებს და შესაბამისად ვფიქრობ, ვარ ის ადამიანი, რომელსაც უფრო ადრე უნდა მცოდნოდა, თუკი საკრებულოს საინფორმაციო ცენტრი უნდა გადასულიყო გამგეობის დაქვემდებარებაში. განსაკუთრებული მიდგომა მაქვს კონკრეტული სამსახურის მიმართ, ვინაიდან ჩემი იდეის, ჩემი პროექტის საფუძველზე შეიქმნა. ეს იყო პირველი სიტყვა სამტრედიაში, შექმნილიყო სამტრედიის ოფიციალური ვებგვერდი. ბედნიერი ვარ და თამამად შემიძლია, ვთქვა, იმერეთის რეგიონში ყველაზე განახლებადი, ყველაზე აქტიური საიტი სწორედ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო ცენტრმა შექმნა. მაქვს პრეტენზია, რომ ვარ პროფესიონალი. მახარებს ფაქტი, იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა საკრებულოსთვის ეს სამსახური, მოხდა პირველი პრეცედენტი _ საკრებულოზე დაიბლოკა. იმედს ვიტოვებ, თუკი მომავალში საკითხი გამგეობის სასარგებლოდ გადაწყდება, მე მექნება შეაძლებლობა, კვლავ გავაგრძელო იმ პროექტებზე მუშაობა, რომლებსაც ვახორციელებ".

საკითხის ჩავარდნის გამო უკმაყოფილებას საკრებულოს სხდომაზე ვერ მა-

ვლავდა მომხსენებელი, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე. მანანა სირბილაძე თვლის, რომ კოლეგების უმრავლესობის მხრიდან განკარგულების მიღებაზე უარის თქმა მისთვის აბსოლუტურად გაუგებარია: "ბოდიშს მოვიხდი ჩემს კოლეგებთან, მაგრამ 27 აპრილის საკრებულოს სხდომაზე თავი ჭირვეული ბავშვების შეკრებაზე მეგონა, იმ განსხვავებით, რომ ბავშვმა იცის, რაზე ჭირვეულობს: უნდა შოკოლადი, ან სათამაშო, ან ნაყინი. ჩემმა კოლეგებმა ნამდვილად არ იცოდნენ, რაზე შეიკავეს თავი, ან მხარი რატომ არ დაუჭირეს. ჩემის აზრით, ეს იყო ელემენტარული საკითხი, რომელიც გაფართოებული ფორმატით განვიხილეთ, იურიდიული კომისიის სხდომაზეც და ბიუროზეც, სადაც საკრებულოს 30 წევრიდან 15 ვიჯექით. ამ ბატონებიდან არც ერთს რაიმე მოსაზრება ან წინადადება არ გამოუთქვამს. კომისიის სხდომასა და ბიუროზე ერთხმად იქნა გადაწყვეტილება მიღებული, საკითხი გასულიყო საკრებულოს სხდომაზე. ამდენად, ჩემთვის გაუგებარია, 27 აპრილს რა მოხდა. არგუმენტირებული პასუხი ვერ მივიღე ვერც ოპოზიციისაგან და ვერც პოზიციისაგან. ოქმში ჩანაწერი შევიდა, უკეთ შესწავლის მიზნით საკითხზე უახლოესი საკრებულო იმსჯელებს. საქართველოს ორგანულ კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის, კერძოდ, 54-ე მუხლში დ. ბ. ქვეპუნქტებში ცალსახად წერია: "საკრებულოს თანხმობით გამგებელი (მერი) იღებს გადაწყვეტილებებს: კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ; სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრიანების შესახებ, მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ. სამეწარმეო იურიდიული პირის წილის (აქციების) შეძენის შესახებ.

ეს ითვალისწინებს, რომ ააიპ-ის, კონკრეტულ შემთხვევაში საინფორმაციო ცენტრის დირექტორს ნიშნავს გამგებელი. საკრებულოსთან შეთანხმებით. 27 აპრილს ჩვენ სწორედ ეს შემთხვევა გვქონდა. აქვე განმარტებისთვის, ეს ცვლილება შევიდა 2014 წლის აპრილიდან. მანამდე კი საინფორმაციო ცენტრის დირექტორს საკრებულოს თავმჯდომარე ნიშნავდა. შეიცვალა კოდექსი, შეიცვალა წესიც დირექტორის დანიშვნისა. შესაბამისად უნდა შეიცვალოს სახელწოდებაც: იყო საკრებულოს საინფორმაციო ცენტრი, გახდება მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო ცენტრი".

3 მაისი პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეა!

ლევან გაბეჩავა

სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!

დიდია მედიის როლი და მნიშვნელობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, მასებისათვის უტყუარი, მყარ ფაქტებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაციის მიწოდების საქმეში.

საზოგადოებრივი ფარმაციის არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა (და არც იქნება) შემთხვევა, ხელისუფლების სათავეში მოსულთ განეცხადებინოთ, რომ ზღუდავენ მედიასაშუალებებს, ჟურნალისტებს, ოპერატორებს, თუმცა, რიგ შემთხვევებში სხვა ფაქტები და რეალობა არსებობდა.

ახსოვთ უფროსი თაობის ჟურნალისტებს, თეთრის შავად, შავის თეთრად წარმოჩენას რომ თხოვდნენ... უნდა ითქვას ისიც, რომ არც ერთი ხელისუფალი, არც ერთი ხელისუფლება არ ხვდება კრიტიკას "ევრიკას" ძახილით, ეს არის მხოლოდ, ვინ როგორ გამოხატავს ყოველივეს და ვინ როგორ

დღეს, როცა მსოფლიო ხმამაღლა ალაპარაკდა სიტყვის თავისუფლებაზე, გამოხატვის უფლების ხელშეუხებლობაზე, რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით არაბულ სამყაროში ერთობ გახშირდა მედიასაშუალებებში დასაქმებულ ადამიანთა დევნა, შევიწროვება, მკვლელობები. რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში?

უმადურობა იქნებოდა, არ გვეთქვა, რომ 2012 წლის შემოდგომის შემდეგ, საქართველოში წინა წლებთან შედარებით მედია წნეხისგან გათავისუფლდა, არავინ არავის უშლის მოამზადოს, გამოაქვეყნოს, გააშუქოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც თავისთავად ობიექტურობაზე უნდა იყოს აგებული.

თქმულის პარალელურად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არის ერთი მომენტიც, რომელიც ისევ და ისევ მედიასაშუალებებს, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ ვითარებაში აყენებს.

ნებისმიერი მასალა, იქნება იგი საგაზეთო, თუ სატელევიზიო, შემდგომი რეაგირებისთვისაა გამიზნული, სამწუხაროა, რომ უმეტესად არ ხდება მედიასაშუალებების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების განსჯა, მათზე რეაგირება. მაშ რისთვის წერენ ჟურნალისტები? რისთვის მზადდება ტელერეპორტაჟები? ხომ არ ჰგავს ეს "ძაღლისთვის ჯაჭვის დაგრძელებას?" "ძახილს სიცარიელეში?"

იმის გასარკვევად რამდენად მიიჩნევენ საქართველოში პრესას თავისუფლად, "სამტრედიის მაცნე" რამდენიმე რესპონდენტს დაუკავშირდა.

ნიკა ყურულაშვილი, 22 წლის: ვერ გეტყვით, მარტო სპორტულ გაზეთებს ვკითხულობ.

თამარ ღირდალაძე, 50 წლის: პრესა ნამდვილად უნდა იყოს თავისუფალი, ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება თავისი მოსაზრება გამოთქვას გაზეთით თუ ტელევიზიით, რამდენად თავისუფალია პრესა, ნამდვილად არ მიფიქრია ამაზე. ბოდიშით!

ირა წიქვაძე, 72 წლის: თავისუფალი ნამდვილად უნდა იყოს პრესა, მაგრამ ჟურნალისტებსა და ოპერატორებსაც უნდა ჰქონდეთ შინაგანი ცენზურა.

ნანა კახაძე, 56 წლის: თავისუფალი კი არა, ზედმეტად თავისუფალია პრესა, ვისაც რა უნდა იმას წერს, ჩემი აზრით, ეს არ უნდა იყოს კარგი. პოლიტიკოსები ერთმანეთს რომ ლანძღავენ, გაზეთებში საშინელებები რომ იწერება, ეს მოგწონთ?

ვახტანგ ნიკურაძე, 60 წლის: რომ ვმუშაობდი, გაზეთებიც მქონდა გამოწერილი და ვკითხულობდი კიდეც, ახლა მეურნეობით ვარ დაკავებული და საკითხავად არ მცალია, ტელევიზორში კიდევ, გინდა არ გინდა, თურქულ და ინდურ ფილმებს ვუყურებ და ვართ ასე. ისე მე რომ მეკითხები, ჩემზე უფრო არ იცი შენ ეგ? მე გიცნობ შენ!

ომარ ნადირაძე, აგროინჟინერი: პრესა, უნდა იყოს თავისუფალი და ობიექტური.

როგორც მოსალოდნელი იყო, რესპონდენტებს ერთმანეთისაგან განსხვავებული პასუხები აქვთ ჩვენს კითხვაზე, ერთი კი ცხადია, როცა მათ ცხოვრება იმის აუცილებლობის წინაშე დააყენებს, რომ მედიით საკუთარი აზრი მასებს გაუზიარონ, უეჭველად ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს მედიის, პრესის თავისუფლების აუცილებლობას, ამდენად...

3 მაისს მსოფლიო პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. კაცობრიობის უპირველესი მონაპოვარია თავისუფლება, ობიექტურობა კი მთავარზე მთავარია.

მეორე მსოფლიო ომის 70 წლისთავისათვის

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში დიდი სამამულო ომის 25 მონაწილე ვეტერანია დაფიქსირებული. მათგან ყველაზე უფროსები 1918 წელს დაბადებულები გრიგოლ ხაჟალია და ვიქტორ ნიკურაძეა. ყველაზე უმცროსები ბენიამინ სტურუა და ავთანდილ ლეჟავა 1925 წელს დაიბადნენ.

მე-2 მსოფლიო ომის დამთავრებიდან 70-ე წლისთავზე სახელმწიფომ ვეტერანების მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა. 2015 წლის 9 მაისს დიდი სამამულო ომის მონაწილენი ცენტრალური ხელისუფლებისაგან 1000 ლარს, ხოლო მარჩენალდაკარგულები 500 ლარს მიიღებენ საჩუქრად, რაც შეეხება ადგილობრივ მთავრობას, ვეტერანების საბანკო ანგარიშზე საცხრამაისოდ 400 ლარს ჩარიცხავს. იმ დღეს თითოეული მათგანი 100 ლარის ღირებულების საჩუქარს მიიღებს.

"გვინდა, თუ არ გვინდა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა რაოდენობა მთელ ქვეყანაში და მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად მცირდება. ეს ადამიანები მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისა და ხელისუფლებისაგან უდიდეს მზრუნველობას იმსახურებენ. წლევანდელი 9 მაისი, მგონია, ამის ნათელი დადასტურებაა". _ გვითხრა მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა. სწორედ ლევან ახობაძისაგან მივიღეთ სამტრედიაში მცხოვრები ვეტერანების სრული სია. აი, ისინიც: სამსონ მესხი, გივი რუხაძე, ვიქტორი ნიკურაძე, გიორგი კახიანი, ვალიდა გელაზონია, ანნა თავაძე, რევაზ კანდელაკი, ილია ნადარეიშვილი, ალექსანდრა ჯულუხიძე, გრიგოლ ჩაჩუა, გრიგოლ ხაჟალია, დავით მეგენეიშვილი, შოთა გოგიშვილი, ამბროსი ჟორჟოლიანი, თამარ ნიკოლეიშვილი, ავთანდილ ლეჟავა, ნინა კოპალეიშვილი, ბენიამინ სტურუა, მანოველ ფირცხალავა, დავით კიწმარიშვილი, ავთანდილ გალდავა, მიხეილ ბახტაძე, იაკობ კალაძე, გრიგოლ თავაძე, ალექსანდრე სტურუა.

ასაკისა და ჯანმრთელობის გამო მათი უმრავლესობა, სავარაუდოდ, 9 მაისის დღეს ოჯახში გაატარებს. აქტიური ნაწილი კი ჯერ ადმინისტრაციულ შენობას მოაშურებს, ერთმანეთს ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავს მიულოცავენ, შინმოუსვლელი ჯარიკაცის დედის ძეგლს ყვავილებით შეამკობენ, გაიხსენებენ ომის მძიმე დღეებს, უსურვებენ სიცოცხლის გახანგრძლივებას და სახლებში იმ იმედით დაბრუნდებიან, რომ მომავალი წლის 9 მაისს ისევ შეხვდებიან ერთმანეთს.

გამარჯვების დღეს გილოცავთ!

გულით გილოცავთ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, სამტრედიელებს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 70-ე საიუბილეო წლისთავს.

დაუვიწყარია კაცობრიობის ისტორიაში მანამ არნახული სისასტიკის ომის ძლევამოსილად დასრულების საქმეში იმ 700 000 ქართველის წვლილი, პირველსავე დაძახილზე იარაღი რომ აისხეს. მათგან ნახევარი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. 5549 მებრძოლი წავიდა ომში სამტრედიიდან, მათგან ასობით მეომარმა ჰპოვა მარადიული განსასვენებელი ბრძოლის ველზე.

9 მაისს მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები აღნიშნავენ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს.

თავს ვხრით დაღუპულ მებრძოლთა ნათელი ხსოვნის წინაშე.

გამარჯვების დღეს გილოცავთ, ძვირფასო ვეტერანებო, მეგობრებო, ხანგრძლივ სიცოცხლეს, მშვიდ ხანდაზმულობის წლებს გისურვებთ!

რევაზ კანდელაკი
ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საამტრედიის რაიონული კავშირის თავმჯდომარე, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი

ქალებიც იბრძოდნენ

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეორე კურსიდან გაიწვიეს ნინა კოპალეიშვილი მეორე მსოფლიო ომში. საბრძოლო ნათლობა კავკასიის მისადგომებთან წარმოებულ ბრძოლებში მიიღო.

ქალბატონი ნინა კოპალეიშვილი იმ ქართველ მანდილოსანთა შორის იყო, ვინც სამშობლოს პირველსავე დაძახილზე ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და საკუთარ ბუნაგამდე სდია მტერს.

ომის დასრულებას იგი ქალაქ ბრესლავში შეხვდა. 1945 წლის 23 ნოემბერს ნაომარი ქალბატონი უმაღლესი მთავარსარდლის არაერთი მადლობითა და საბრძოლო ორდენებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა სამშობლოში. სწავლის გაგრძელების შემდეგ, პროფესიით აგრონომი დიდხანს მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციაში.

ერთი ნატვრა მაქვს, ჩვენს სამშობლოში არასოდეს გვენახოს ომი და ქალებს არასოდეს ჩაეცვათ ფარაჯა. _ ამბობს ნაომარი ქალბატონი.

ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ ქალბატონ ნინა კოპალეიშვილს და მადლობას ვუძღვნით სამშობლოს უანგაროდ სამსახურისათვის.

ლევან გაბეჩავა

ომის გმირები...

ძმები ალექსანდრე და გრიგოლ ლეკვეიშვილები მეორე მსოფლიო ომში იბრძოდნენ. ალექსანდრე არტილერისტი იყო, გრიგოლ მფრინავი. ისინი 1939 წლის 18 ნოემბერს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში სამტრედიის სამხედრო კომისარიატიდან. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ამ პირტიტველა ახალგაზრდებს (ალექსანდრე 19 წლის იყო, გრიგოლი 21 წლის) თავს საშინელი, იმ დროისათვის არნახული, გაუგონარი სისასტიკის ომის ქარტეხილი დაატყდებოდათ თავს.



კარგი შვილების აღზრდისთვის მშობლებმა მრავალჯერ მიიღეს მადლობა იმ სამხედრო ნაწილის მეთაურისაგან, სადაც ისინი პირნათლად იხდიდნენ ვალს. მაშინ სამი წელი იყო სამხედრო სამსახური. ამასობაში ომმა მოუსწრო ბიჭებს.

1941 წელს ივნისის მიწურულს, ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. 700 000 მეომრიდან, რომელიც

საქართველომ ომში გააგზავნა, ნახევარი ბრძოლის ველზე დაეცა, მათ შორის ალექსანდრე და გრიგოლ ლეკვეიშვილები.

უმცროსი შვილის ალექსანდრეს წერილები ომის დაწყების დღიდანვე შეწყდა. იგი ბელორუსიის ქალაქ გროდნოს პირველ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა.

უფროსმა, გრიგოლმა ქალაქ ლვოვში მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა. სამი თვის მანძილზე იგერიებდა მტრის მრისხანე შემოტევებს. შემდეგ გამოიყვანეს ფრონტის წინა ხაზიდან და გორკის ოლქში დაამთავრებინეს სახელდახელოდ შექმნილი საავიაციო საფრენოსნო სკოლა. ამის შემდეგ იგი ისევ ფრონტს დაუბრუნდა, ამჯერად არა შაშხანით ხელში, "არამედ ბომბდამშენი თვითმფრინავით.

1942 წლის 3 აპრილს ოჯახში წერილი გამოაგზავნა, როცა პირველი გაფრენისთვის ემზადებოდა. მან 24-ჯერ შეძლო მტრის ზურგის განლაგების საჰაერო ჯგუფური დაბომბვა. 25-ე საბედისწერო აღმოჩნდა. 1942 წლის აგვისტოდან წერილები შეწყდა.

დადარდიანდა ოთხი ვაჟის დედა, მამა, ოჯახი... სახლში დარჩენილი კიდვ ორი ვაჟი.

1945 წლის 9 მაისს ომი დამთავრდა, როგორც ბევრი დედა, ბებიაჩემიც _ სალომე სტურუა ამაოდ ელოდა შვილებს, ალექსანდრეს და გრიგოლს. თუმცა, ბიჭების მამამ, კონსტანტინე ლეკვეიშვილმა იცოდა და ჩუმად ინახავდა კომისარიატიდან მიღებულ ცნობას შვილების უგზოუკვლოდ დაკარგვის შესახებ.

ქალაქი და სოფელი არ დარჩენილა საქართველოში, ახლობელი ან ოჯახის წევრი არ დაღუპვოდა ომში. სოფელ იანეთში მე-5 უბანში შინმოუსვლელთა ხსოვნის მემორიალზე ძმების ალექსანდრე და გრიგოლ ლეკვეიშვილების ფოტოებიც არის. უმცროს ძმებს, სერგოს და გივი ლეკვეიშვილებს მთელი ცხოვრება სტანჯავდათ შინმოუსვლელი ძმების ბედი.

უგზოუკვლოდ დაკარგვის ცნობა დრეზდენის არქივშიც მოვიძიე. თითქოს მთელი ომის ქარტეხილი ჩემს ოჯახს დაატყდა თავს. სამი ვაჟკაცი შეიწირა დიდმა სამამულო ომმა _ მამის ძმები _ ალექსანდრე და გრიგოლ ლეკვეიშვილები და დედაჩემის მამა _ მოსე ნაკაიძე. იგი 25 წლის იყო, რიგითი ჯარისკაცი, როცა დიდ სამამულო ომში გაიწვიეს. 1942 წლის ოქტომბერში ცნობა მოვიდა სამხედრო კომისარიატიდან მისი უგზოუკვლოდ დაკარგვის შესახებ...

2015 წლის 9 მაისს 70 წელი შესრულდება მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან.

ვიხსენებ შინმოუსვლელ გმირებს და სევდა მიპყრობს...

ვუყვებით ამ ისტორიას მე და ჩემი დები ჩვენს შვილებს... სამწუხაროა არის და საამაყოც, ოჯახიდან ამდენი გმირი. როდის გაიაზრებს კაცობრიობა და აღარ იქნება დედამიწაზე ომები, კაცთაკვლა და ბოროტება...

ლილა ლეკვეიშვილი

ჩვენ თაობას ომი არ უნახავს

ლევან გაბეჩავა

უფრო სწორად, არ უნახავს ის ფართომასშტაბიანი, სისხლისმღვრელი ბრძოლები ისტორიაში მეორე მსოფლიო ომის სახელით რომ შევიდა და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

9 მაისს 70 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ევროოემა და ქანთარიამ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ააფრიალეს და მსოფლიოს ფაშიზმის აღსასრული, მეორე მსოფლიო ომის ძლევამოსილად დამთავრება ამცნეს.

გამარჯვების დღის მოახლოებასთან დაკავშირებით ომის იმ ვეტერანებს მოვიგონებ, რომელთა გარემოცვაში მიწევდა ცხოვრება სწავლა და მუშაობა.

პირველ რიგში, ჩემი სკოლის დირექტორს, უგანათლებულეს და უკეთილშობილეს კაცს, აკაკი ჯამბურიას, ჩემს პედაგოგებს, აკაკი ხუჭუას, მიხეილ რამინაშვილს გავიხსენებ. ამ ადამიანებმა სამშობლოს პირველსავე დაძახილზე იარაღი აიღეს ხელში და პირნათლად მოიხადეს სამშობლოს წინაშე მამულიშვილური ვალი. საკუთარ ბუნაგამდე სდიეს მტერს შოთა ხუჭუამ, ტარას უჯმაჯურიძემ, მიხეილ თევზაძემ, შალვა, ჟორა კვანტალიანებმა, ვახტანგ სტურუამ, ლოლა კრავეიშვილმა. ომის დასრულების შემდეგ ისინი მშვიდობიან შრომაში ჩაებნენ, ხშირად უსაუბრიათ ჩვენთვის, მეზობლის ბავშვებისათვის ნახული და განცდილი საშინელებანი, დიდი ხანია, იმიერში გადასახლდნენ ეს ადამიანები.

წლების მანძილზე მუშაობა მომიხდა დიდი ჯიხაიშის ყაზბეგის სახელობის საჯარო სკოლაში. ახლო ურთიერთობები მაკავშირებდა დიდ ჯიხაიშელ ომის ვეტერანებთან: ევგენ ჯიქიძესთან, ევტიხი ლეჟავასთან, მელიტონ, ვალიკო დევიძეებთან, ბიქტორ თადუმაძესთან, დავით კაჭახიძესთან და სხვებთან. სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები ხშირად უწყობდნენ მათ შეხვედრებს, რაც მათდამი უსაზღვრო პატივისცემის გამოხატულება იყო.

საყოველთაო პატივით სარგებლობდა ყაზბეგის უბანში ქალბატონი მართა ნუცუბიძე, რომელიც შინმოუსვლელი ვაჟკაცის დედა იყო და სოფელმა, უახლოესმა ადამიანებმა გააცილეს იმ ქვეყნად.

მჭიდროდ თანამშრომლობდნენ გაზეთ "სამტრედიის მაცნესთან" ომის ვეტერანები: ალექსანდრე (შურა) ქუთათელაძე, ალექსანდრე გეგუჩაძე, დავით ჩხაიძე, ნორა გიორგაძე, ვერა თევზაძე, მიხეილ ნამიჩეიშვილი, შალვა გოგავა, ჯულიეტა გოგავა, ბუჭუნა რევიშვილი, დიომიდე ფახურიძე, ვახტანგ ასათიანი, ტიტე ჯულაყიძე, შოთა ტაბიძე, ბატონი შოთა საცხრამდინარეობის ამბებს რომ ამცნობდა ომის დროს ხალხს. განსაკუთრებული პატივით მოვიგონებთ ჩვენს უფროს კოლეგას, ბატონ ოთარ ნაფეტვარიძეს, მოხალისედ რომ წავიდა ომში და შინ გამარჯვებული დაბრუნდა.

ამაისოდ საკუთარ "ზაპოროჟეცს" ომის ამსახველი ფოტოებით მორთავდა, მეგაფონიდან კი ქალაქს ეფინებოდა იური ლევიტანის საოცარი ხმა, ომის მი-

ერთ საგაზეთო წერილში, ცხადია, სრულად ვერ მოხერხდება ყველა იმ ადამიანის მოგონება, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ფაშიზმის გაცამტვერების საქმეში.

გულსატკენია ის გარემოება, რომ, თუ წლების წინ, საცხრამაისოდ ქალაქ სამტრედიაში ვეტერანთა კოლონა მოაბიჯებდა, ამჯერად ვეტერანთა რაოდენობა ძალზე შემცირდა გასაგები მიზეზების გამო, ისე, როგორც მთელ ქვეყანაში, რაც ერთობ გულსატკენია.

კაცობრიობის ისტორიაში მანამ არნახულ ომში გმირული მონაწილეობისა და თავდადებისათვის გულწრფელი მადლობა გვსურს მოვახსენოთ ღვაწლმოსილ ადამიანებს, ომის ვეტერანებს: რევაზ კანდელაკს, მიტუშა მესხს, ბიქტორ ნიკურაძეს და სხვებს, ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ მათ მრავალრიცხოვან მონაგართან ერთად.

სამარადისო დიდება გმირებს!

გმადლობთ, ვეტერანებო!

"ბოროტსა სძლია ჯეთილმან"...

კაცობრიობის ისტორია მეტწილად ომების ისტორიაა. თავისი არსებობის მანძილზე ადამის მოდგმამ ძალიან ცოტა ხანი იცხოვრა უომრად, რამაც ასეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და სისხლის ზღვა დააყენა.

შვეიცარიელი სპეციალისტის, ჟან-ჟაკ ბაბელის გაანგარიშებით ბოლო 55 საუკუნის მანძილზე ადამიანებმა უომრად მხოლოდ 292 წელი, ანუ 3 საუკუნეზე ნაკლები იცხოვრეს.

კაცობრიობას ახსოვს როგორც ხანმოკლე, ასევე ხანგრძლივი ომები. ყველაზე ხანმოკლე იყო დიდ ბრიტანეთსა და ზანზიბარას შორის 1896 წლის ომი, რომელიც მხოლოდ 38 წუთი გაგრძელდა. ხანმოკლე ომების რეკორდს მიუახლოვდა საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლის, მ. სააკაშვილის მიერ 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალში დაწყებული ომი, რომელიც დღენახევარში მისივე ინიციატორის კრახით დასრულდა.

ხანმოკლე იყო ისრაელისა და ეგვიპტეს შორის 1967 წლის ომი, სადაც 6 დღეში ისრაელის არმიამ სრული გამარჯვება მოიპოვა.

ყველაზე ხანგრძლივ ომად ითვლება ინგლის-საფრანგეთის 1337-1453 წლების "ასწლიანი ომი", თუმცა, სპეციალისტთა ერთი ნაწილი ყველაზე ხანგრძლივად ჯვაროსნულ ომებს მიიჩნევს, რომლის სამივე ეტაპი 195 წელზე მეტი გრძელდებოდა.

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური, სისხლისმღვრელი და უდიდესი ზიანის მომტანი მეორე მსოფლიო ომია, რომელშიც ჩაბმული იყო ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 80%. საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო. ომის ხანძარი მძვინვარებდა 40 ქვეყანაში. სამხედრო ფარაჯა ჩაიცვა 110 მილიონმა ადამიანმა. ომმა შეიწირა 54,8 მილიონი სამხედრო მოსამსახურისა და მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე, პროცენტულად ყველაზე მეტად დაზარალდა პოლონეთი, რომელმაც ამ ომში 6 მილიონ 28 ათასი კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 17,2% დაკარგა.

ომის დროს საბჭოთა არმიის რიგებში მობილიზებული იქნა 12 მილიონი ჯარისკაცი, 12 მარშალი, 5597 გენერალი და ადმირალი. ეს იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც სათავეში ედგა უმაღლესი მთავარსარდალი, მეორე მსოფლიო ომის ტრიუმფატორი, გენერალისიმუსი იოსებ სტალინი.

მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებაში დიდი იყო მოსახლეობის რაოდენობის მხრივ მცირერიცხოვანი საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი. ქვეყანამ, სადაც 3,8 მილიონი კაცი ცხოვრობდა, ბრძოლის ველზე გაგზავნა 700 ათასამდე მეომარი, რომელთა შორის 82 გენერალი და 23 ათასი ოფიცერი იყო. ქართველი იყო საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდალი და ომში გამარჯვებული კოალიციის წარმართველი, ქართველი იყო გამარჯვებებში ლომის წილის შემტანი, საბჭოთა კავშირის მარშალი, XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი, უნიჭიერესი ორგანიზატორი და ყველა დროის უდიდესი მზვერავი ლავრენტი ბერია.

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების ძირითადი და გადამწყვეტი ძალა საბჭოთა კავშირი და მისი უმაღლესი მთავარსარდალი სტალინი გახლდათ. საბჭოთა არმიამ გაანადგურა გერმანიისა და მისი მოკავშირეების 607 დივიზია, ხოლო მოკავშირეებმა გერმანიისა და მისი სატელიტები 176 დივიზია. საბჭოთა არმიამ ტყვედ აიყვანა 4 მილიონზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, მარტო ბერლინის აღებისას დატყვევებული იქნა 40 ათასი ოფიცერი და ჯარისკაცი. გამარჯვების პარადზე გამოიტანეს 200 გერმანული დროშა. სტალინმა კარგად იცოდა, რომ არ არსებობდა საიდუმლო, რომლის ყიდვა არ შეიძლებოდა. მას პერსონალურად ჰყავდა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სპეციალური, საგანგებო დანიშნულების ორი ჯგუფი.

გრძნობდნენ რა ომის გარდუვალობას, სტალინმა და ბერიამ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე შექმნეს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის უნიკალური სამსახური, რომელსაც ხელეწიფებოდა ყველა აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება, როგორც ამა თუ იმ ქვეყნის საომარი პოტენციალის შესახებ, ასევე, საჭირო ცნობების რეგულალურად მიღება მსოფლიო ლიდერთა საქმიანობის, თუ კულისებსმიღმა მოქმედი ძალების მიზნებისა და ამოცანების შესახებ. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ მარტო 1940 წელსა და 1941 წლის პირველ ხუთ თვეში ლიკვიდირებული იქნა გერმანელთა დაზვერვის 66 რეზიდენტურა და 1600-ზე მეტი პროფესიონალი აგენტი. რის შედეგად საბჭოთა კავშირში მოქმედი გერმანული დაზვერვა ფაქტობრივად პარალიზებული იქნა. 1941 წლის 17 სექტემბრის მესამე რაიხის საიდუმლო თათბირზე ჰიტლერი სინანულით ამბობდა: "ჩვენ რუსეთის კარი შევაღეთ ისე, რომ არ ვიცოდთ, რა იყო მის უკან"-ო.

აშშ-ს დაზვერვის სამსახურის ცნობილი შეფის, ალენ დალესის თქმით: "ინფორმაცია, რომელსაც ფლობდა საბჭოთა დაზვერვა, განაპირობებდა მის წარმატებებს, იგი წარმოადგენდა ისეთი ხასიათის უწყებას, რომელზედაც შეიძლება იოცნებოს ნებისმიერი ქვეყნის დაზვერვამ".

მაშინ, როდესაც პირადად სტალინსა და საბჭოთა უშიშროების სამსახურს უწყვეტ ნაკადად მიეწოდებოდა ინფორმაცია, როგორც გერმანიის, ასევე, მისი მოკავშირე სახელმწიფოების საიდუმლო საქმიანობაზე, მტერს ხელი არ მიუწვდებოდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებისა და ამ ქვეყნის უმაღლესი სარდლობის დასახული გეგმების შესახებ, საჭირო ინფორმაციაზე.

ასე იყო მოსკოვის, სტალინგრადის, კურსკისა და სხვა გადამწყვეტი ბრძოლების დროსაც, როდესაც მტერს არ გააჩნდა არავითარი ფასეული ინფორმაცია საბჭოთა ჯარების რაოდენობის, მისი შეიარაღებისა თუ გადაადგილების შესახებ. ეს მაშინ, როდესაც სტალინგრადის ბრძოლა თავისი მასშტაბებით უანალოგოა ერთ კონკრეტულ ადგილზე გამართულ ბრძოლათა შორის. ბრძოლაში, სადაც ორივე მხრიდან მონაწილეობას იღებდა 2 მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი, 5 ათასი თვითმფრინავი, 6 ათასი ტანკი. ბრძოლაში, რომელსაც შეეწირა 3 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე.

მეორე მსოფლიო ომში 27 მილიონამდე საბჭოთა ადამიანი დაიღუპა, რომელთა შორის 18 ათასამდე მშვიდობიანი მოსახლეობა იყო. ისინი გერმანელებმა ვანდალურად გაანადგურეს მათ მიერ ომის დროს დაპყრობილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

გერმანიამ, თავის მოკავშირეებთან ერთად, ამ ომში დაჰკარგა 17,9 მილიონი ოფიცერი და ჯარისკაცი, აშშ-მ 405 ათასი, ინგლისმა 350 ათასი მეომარი.

საბჭოთა არმიამ ფაშიზმისაგან იხსნა არა მხოლოდ საკუთარი ხალხი, არამედ ევროპის 13 სახელმწიფო. მათ გათავისუფლებას ასი ათასობით საბჭოთა მებრძოლის სიცოცხლე შეეწირა, კერძოდ: პოლონეთის გათავისუფლებას _ 600 ათასი, უნგრეთის _ 140 ათასი, ჩეხოსლოვაკიის _ 141 ათასი, რუმინეთის _ 69 ათასი, იუგოსლავიის _ 8 ათასი, ავსტრიის _ 26 ათასი, ნორვეგიის 3,4 ათასი, ბულგარეთის _ 997 ათასი.

სტალინმა კარგად იცოდა, რომ დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებისა და "ფარული ხელის" მიერ "წითელი საფრთხის" წინააღმდეგ სპეციალურად დაფინანსებული ჰიტლერი იმ დროისათვის ომისათვის უკეთ იყო მომზადებული; რომ საბჭოთა კავშირს, სულ მცირე, ორი წელი მაინც ესაჭიროებოდა, გერმანიის სამხედრო პოტენციალისათვის მისაღწევად. ამასთან ბელადი ცდილობდა, პოტენციური მტრის შეიარაღებისათვის ხარისხობრივი მაჩვენებლებთაც გასწრო. საბჭოთა კავშირს უკვე ჰქონდა ტექნოლოგიურად უფრო სრულყოფილი და უკეთესი საბრძოლო მახასიათებლებით გამორჩეული ტანკებისა და თვითმფრინავების პროექტები, რომელთა სერიულ წარმოებას დრო სჭირდებოდა. ამიტომ სტალინი დიპლომატიური ხერხებით ცდილობდა, გერმანიასთან ომის დაწყება, რაც შეიძლება, შორს გადაეწია.

იმპერიალისტური ჟინით შეპყრობილი ფიურერი კი ჩქარობდა. 1941 წლის 22 ივნისს იგი ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად შეიჭრა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად 5,5 მილიონი სამხედრო მოსამსახურე, 47 260 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 3712 ტანკი, 4955 ახალი ნიმუშის თვითმფრინავები დაძრა.

ამ პერიოდისათვის საბჭოთა კავშირს მობილიზებული ჰყავდა მხოლოდ 2,9 მილიონი ოფიცერი და ჯარისკაცი. მისი სამხედრო არსენალი კი 34 695 ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს, 1800 ტანკს, 1540 საბრძოლო თვითმფრინავს ითვლიდა.

ძალთა ასეთი თანაფარდობა მხოლოდ 1943 წლიდან შეიცვალა. მას შემდეგ, რაც საბჭოთა მძიმე და სამხედრო მრეწველობის სამშენებლო ობიექტები ქვეყნის აღმოსავლეთით, ურალში იქნა გადატანილი და ომის დღეებში იქნა ამუშავებული.

1945 წლის დასაწყისისათვის საბჭოთა არმიის რიგებში უკვე მობილიზებული იყო 6 მილიონი სამხედრო მოსამსახურე, 91 400 ქვემეხი, 11 ათასი ტანკი, 14 500 თვითმფრინავი. მაშინ, როდესაც გერმანიას შეეძლო საბჭოთა კავშირისათვის დაეპირისპირებინა მხოლოდ 3,1 მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი, 28 500 ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 4000 ტანკი, 4950 თვითმფრინავი.

ომის დასაწყისისა და ომის ბოლო პერიოდის ეს სტატისტიკა შესაბამისად აისახა ბრძოლის შედეგებზე. პირველ ხანებში საბჭოთა შეიარაღებული ძალების წარუმატებლობასა და 1943 წლიდან მის ტრიუმფში.

თავისი შინაარსით, მიზნებითა და ამოცანებით ომები ყოველთვის ერთნაირი რიდი იყო. თავისი ხასიათით ომები არის დაპყრობითი, თავდაცვითი, იმპერიული, სამოქალაქო, სამართლიანი, უსამართლო, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი და ა. შ. შესაბამისად, ომის ცნებების ცალსახად ახსნა ძნელია. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ომი არის სახელმწიფოებს, იდეოლოგიებს, კლასებს, რელიგიებს, გეოპოლიტიკურ ინტერესებს შორის საზოგადოების დაპირისპირების ძალით გადაწყვეტის პოლიტიკა.

გარდა მანამდე არნახული მასშტაბებისა, მეორე მსოფლიო ომი გამოირჩეოდა სატანისტური შინაარსით, ტოტალური რასისტული ზრახვებით, რომელიც მიზნად ისახავდა ყველა ხალხის განადგურებას, გარდა გერმანული მოდგმისა.

საბედნიეროდ, კაცობრიობის ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს, სამყაროს მოევლინა სტალინი, რომელმაც თითქმის შეუძლებელი შეძლო. მეკავშირედ გაიხადა განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის, გუშინდელი მტრად განწყობილი სახელმწიფოები. თავადვე სათავეში ჩაუდგა აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ამ კოალიციას და დარაზმა ისინი ფაშიზმის წინააღმდეგ.

სტალინის დიდი ორგანიზატორული ნიჭი და გენია სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაშიც გამოვლინდა. ბელადმა არა მხოლოდ აშშ და ინგლისი გაიხადა მეკავშირედ, არამედ ის ბიზნესმენები და სიონისტთა ლიდერებიც, რომლებმაც თავის დროზე ლომის წილი შეიტანეს გერმანული ფაშისტური სახელმწიფოსა და ამ რეჟიმის მძლავრი სამხედრო მანქანის შექმნაში. შედეგად, სიონისტთა დიდი ნაწილი, რომელიც ადრე ჰიტლერის სამსახურში იყო, ახლა უკვე საბჭოთა შეიარაღებული ძალების მატერიალური და ფინანსური მხარდამჭერი ხდება. მალე მათი უშუალო დახმარებითა და მონაწილეობით საბჭოთა კავშირში იწყება ატომური იარაღის შექმნისათვის შესაბამისი ბაზის სამეცნიერო ცენტრებისა და საწარმოების მშენებლობა. ამ საქმეში ასევე განუსაზღვრელად წონადი იყო საბჭოთა უშიშროების სამსახურის როლი და დამსახურება. როგორც საბჭოთა ატომის მამად წოდებული, დიდი მეცნიერი იგორ კურჩატოვი ამბობს, რომ არა ლ. ბერია, მისი უზადო ორგანიზატორული ნიჭი, არ იქნებოდა საბჭოთა ატომური ბომბი.

ჩვენ, ქართველებს განსაკუთრებით გვეამაყება, რომ ადამიანთა არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდ ომში გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი არის ქართველი კაცი _ იოსებ ჯუღაშვილი. კაცი, რომელიც იყო კაცობრიობისათვის მანამდე უცნობი, სოციალური თანასწორობის, სოციალური სამართლიანობის სახელმწიფოს შემოქმედი; კაცი, რომელსაც ომი თვითონ არასოდეს დაუწყია, ისე გახდა ნახევარი მსოფლიოს ხელისუფალი, ხოლო პლანეტა დედამიწის მეორე ნახევარს საუთარ ნებას კარნახობდა და თავის გავლენის ქვეშ აქცევდა. კაცი, რომლის მიერ შექმნილი სახელმწიფოს დარი, პატიოსანი, მშრომელი ადამიანისათვის არასოდეს შობილა.

ომები ზოგ შემთხვევაში ხელს უწყობს საზოგადოებრივ პროგრესს, ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და ცივილიზაციის სოციალიზაციას. ომებმა დააჩქარა თვით კაცობრიობის ცივილიზაციის ყველაზე დიდი მიღწევა _ სახელმწიფოს შექმნა და მისი სრულყოფა. არაერთი მეცნიერი ომებს მიიჩნევს კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემის მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფის თავიდან აცილების საშუალებად.

სამყაროს ადამიანისეული აღქმა ყოველთვის როდია ერთნაირი. დედამიწა თავალში არასოდეს ჩანდა ასე ახლოს და ესოდენ პატარა. ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო საოცარია ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილის ცნობიერების სიბნელე. რაშიც დიდია მოსყიდული, მართული მედიასაშუალებების დეზინფორმაციული როლი, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გაუკუღმართებულად ჩვენების, მსოფლიო სახელმწიფოებში მოფენილი მარიონეტ ხელისუფალთა, "ფარული ხელის" ლოცვა-კურთხევით მოსულ მეფუკების ხვედრითი წილი.

ზესახელმწიფოთა ლიდერები და მათ უკან მდგარი მსოფლიოს რეალური მმართველები ერთობიან მათივე ხელდასხმით ამა თუ იმ ქვეყნებში დასმული მარიონეტი მმართველების ბაქიაობით, ამ წაქეზებული ფინიების მათი პატრონისათვის მიუღებელი ქვეყნების მიმართ ყეფით და წკავწკავით.

თანამედროვე, "დემოკრატიის შუქურები" ხელიდან არ უშვებენ მცირეოდენ შანსსაც კი, რომ ახალი ომი გაჩაღონ. მსოფლიოს დაპყრობისა და დამორჩილების, ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის ბაირახტარნი ქმნიან ისეთ საერთაშორისო ვითარებას და ისე წარმოაჩენენ მას, რომ მტყუანსა და მართლის, არა თუ საზოგადოების ფართო მასები, არამედ თვით "ზეციური აპოკალიფსის ინსპექტორებიც კი ვერ არჩევენ".

რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს "დემოკრატიის სიმბოლო" აშშ-სა და მისი ქვემდებარე ნატოს ქმედებებს, რომლებსაც მესამე მსოფლიო ომის აშკარა საფრთხის წინაშე აყენებენ კაცობრიობას. თუ არა მსოფლიო დაპყრობის იმპერიული ზრახვები, სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ს მიერ დედამიწის სხვადასხვა კონტინენტზე დაწყებული 25-ზე მეტი სისხლისმღვრელი ომი და 160-ზე მეტი სახელმწიფო გადატრიალება, რასაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ვანდალიზმისა და გაუკითხაობის ყველაზე ამაზრზენი მოქმედება კამბოჯაში, სადაც ამერიკის ავიაციის მიერ განხორციელებულ საჰაერო დაბომბვებს 1,5 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქე, ქალი თუ ბავშვი ემსხვერპლა. მარტო 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტის შემდეგ ამ ზესახელმწიფომ 2,5 მილიონი სამხედრო მოსამსახურის მობილიზება მოახდინა არაბულ სამყაროში საომრად გასაგზავნად, რაზედაც 5 ტრილიონი დოლარი დახარჯა.

უზნეობამ მოიცვა სამყარო, ვერსად გაიგებ სიმართლეს, ფასი დაჰკარგა და არავის ახსოვს ტერმინი "ჭეშმარიტება". წესად იქცა "შეურაცხყოფა ღირსეულის უღირსისაგან". არად დაგდებენ კაცობრიობის გადამრჩენებს, მეორე მსოფლიო ომის გმირებს, თვით გამარჯვების ტრიუმფატორს ი. სტალინს. "ძლევაი საკვირველის" ამ ბაირახტარს ზოგჯერ ფაშიზმისა და რასიზმის მედროშე _ ჰიტლერის დარადაც კი მოიხსენიებენ ანტიქრისტეს ემისრები. უნებლიედ გახსენდება თვით ბელადის წინასწარმეტყველური სიტყვები: "აი, მე მოკვდები... ვიცი, ყველაფერში დამადანაშაულებთ და ჩემს სამარეს ნაგვით დაფარავთ, მაგრამ არა უშავს, ისტორიის ქარი გაფანტავს ამ ნაგავს".

არათუ ანტიქრისტეს ემისრები, არამედ თვით ანტიქრისტე და სატანა ვერაფერს დააკლებენ ფაშიზმზე გამარჯვებულთ და მათ უბადლო წინამძღოლს, რომელიც ყველა დედამ თავის შვილად, ხოლო შვილებმა სულიერ მამად აღიარეს. როგორც იტყვიან: "შეშინებული ძაღლები მთვარეს უყეფენ".

ღვთისა და კაცობრიობის წინაშე ვალმოხდილი ქართველი ხალხი, ზეიმითა და მომავლის დიდი იმედით აღნიშნავს ადამიანთა ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ ომში, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების 70 წლის იუბილეს. ამაყობენ ქართველები ამ ზოგადსაკაცობრიო საქმეში შეტანილი ლომის წილით. არ აშინებთ ისტორიის ბოროტი კატაკლიზმები; სწამდათ და სწამთ, რომ არავითარი გამართლება არა აქვს ომს, რომ თითოეული ადამიანი მტკიცედ უნდა იდგეს მშვიდობის სადარაჯოზე. სჯეროდათ და სჯერათ ბელადის სიტყვები: "მშვიდობა მიიღწევა მაშინ, თუკი მშვიდობისმოყვარე ძალები თავიანთ ხელში აიღებენ მშვიდობის საქმეს და დაიცავენ მას".

საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ დიდი ტრიბუნაა მსოფლიო პოლიტიკისათვის, დიდია მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, უსაზღვროა მისი შვილების შემოქმედებითი ნიჭი და პოტენციალი. ქართველები, რომლებიც თავადვე განაგებენ თავისი ხალხის 40 საუკუნოვან კულტურას, ღრმად დარწმუნებული თავის შესაძლებლობებში კვლავაც იტყვიან თავის წონად სიტყვას კაცობრიობის მომავალ განვითარებასა და ჩვენს პლანეტაზე სიკეთისა და სამართლიანობის გამარჯვებაში.

რაც შეეხება ქართველებისა და კაცობრიობის უდიდეს შვილს, სტალინს, მას ვერაფერს დააკლებს და ვერც ვერაფერს შემატებს არათუ მოსყიდული პოლიტიკოსები, პოლიტიკანები თუ კალმოსნები, არამედ მილიონობით მათნი მსგავსნი. ყოველივე ამას კარგად მიესადაგება ქართველი ხალხისავე სიბრძნე: "დიდსა, მაღალსა, ნათელსა მზესა ზოგჯერ ღრუბელი შეუცვლის ფერსა". მზე კი _ "მზე ჩავა, მზე კვლავ ამოვა უფრო მწველი და ჩახჩახა".

დეკარ ლალიძე
ჯარეულური

77 წელი რკინიგზის ტრანსპორტზე

ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე საქმოდიელი

არაერთი სახელოვანი რკინიგზელი ამშვენებს საქართველოს რკინიგზის მაგისტრალის მრავალათასიან კოლექტივს. მათ შორის ვინც 77 წელი უანგაროდ ემსახურებოდა რკინიგზელის საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს, არის _ გიორგი ხაჟალია, რომელმაც თავისი ცხოვრების 77 წელიწადი დაუღალავ შრომასა და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობაში გაატარა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჯერ კიდევ პირტიტველა ახალგაზრდა მივიდა სამტრედიის სავაგონო დეპოში სამუშაოდ, სადაც ზეინკლის მოწაფედ მიიღეს. დიდი სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეებში გიორგი, სხვა ახალგაზრდების მსგავსად ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. იგი იბრძოდა მოსკოვთან, კურსკთან, ორიოლთან, ხოლო შემდგომ ოთხი წელი მოუწია ლენინგრადის ბლოკადაში ყოფნა, სადაც გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა სამშობლოს დამცველთა რიგებში. 1945 წელს დაბრუნდა სამშობლოში და მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაება. სავაგონო დეპოში იმუშავა ფოთის გამსინჯველთა პუნქტში, პარალელურად სწავლა გააგრძელა თბილისის სარკინიგზო-საინჟინრო ინსტიტუტში სავაგონო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ გადმოჰყავთ სამტრედიაში ცვლის უფროსად, ხოლო შემდგომ დეპოს უფროსად აწინაურებენ. მისი ხელმძღვანელობით სავაგონო დეპო კიდევ უფრო გაძლიერდა და ტექნიკურად სრულყოფილი გახდა. სავაგონო დეპოს შრომით მატიანეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბატონ გიორგის, იგი იყო რამდენიმე რაციონალური წინადადების ავტორი. გიორგის აწინაურებენ სამტრედიის განყოფილების სავაგონო დარგის უფროსად.

გიორგი ხაჟალია დაჯილდოვებულია მრავალი მედლითა და ორდენით, არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და საპატიო რკინიგზელი.

ყველგან, სადაც უმუშავნია გიორგის, იგი სარგებლობდა კოლეგების, ხელქვეითებისა და აღზრდილების სიყვარულითა და პატივისცემით. ღრმა განსწავლულობამ და ადამიანებთან გულწრფელმა, მზრუნველმა დამოკიდებულებამ დიდი ავტორიტეტი შეუქმნა მას კოლექტივში.

ვუსურვებთ ბატონ გიორგის ჰქონოდეს რკინისებური ჯანმრთელობა, სიცოცხლის ხალისი, ოჯახური ბედნიერებით დამტკბარს კიდევ მრავალი წელი ევლოს საქართველოს რკინიგზის სახელად და დიდებად.

რევაზ შამათავა

29 წლის წინ

მსოფლიო შეძრა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარმა ავარიამ, ასობით ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა და ათასობით ადამიანის ჯანმრთელობაზე იმოქმედა უარყოფითად.

ყოფილი საბჭოეთის ყველა კუთხიდან მონაწილეობდნენ სპეციალისტები, უბრალო ადამიანები ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში.

55 "ჩერნობილელი" იყო თავდაპირველად სამტრედიაში, ე. ი. 55 კაცი წავიდა აღდგენით-გაწმენდით სამუშაოებზე, დღეს 46 მათგანია სახეზე.

28 აპრილს მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელოვანთა დარბაზში იმ ადამიანებს მოუწყვეს შეხვედრა, რომლებიც 29 წლის წინ თავად მონაწილეობდნენ სალიკვიდაციო სამუშაოებში, თითოეულს 100 ლარი გადაეცა ადგილობრივი ხელისუფლებისგან.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ქალბატონი ლიზა კრავეიშვილი შეკრებილთ ავარიის მძიმე შედეგებზე ესაუბრა, მადლობა მოახსენა სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე სამტრედიელებს და თანადგომა, მხარდაჭერა აღუთქვა მათ რაიონის ხელისუფლების მხრიდან.

კარლო ნიკოლეიშვილმა, კოტე იმნაძემ ტრაგედიის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, ითქვა ისიც, რომ "ჩერნობილელები" დღესდღეობით არავითარი შეღავათებით არ სარგებლობენ.

ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა ურჩია მათ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის, ბატონი გიორგი კახიანის წინაშე დასვან ეს საკითხი მისი ბიუროს მეშვეობით და იგი, როგორც კანონმდებელი გულთან მიიტანს მათ კანონიერ თხოვნას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორული ანსამბლები "ალილო", "ჩანგი", "დილილმე" საინტერესო პროგრამებით წარდგნენ დამსწრეთა წინაშე.

ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე ქალბატონებს, დაღუპულ მონაწილეთა მეუღლეებს ყვავილები გადასცეს. ღონისძიებას ორგანიზება მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა გაუწია.

ლევან გაბეჩავა

"უნიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა"

გვმოძღვრავს ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე.

"კაცთა მონიჭებული უდიდესი ბედნიერება წიგნთა მოძღვრებაი არს". _ ბრძანებს დავით აღმაშენებელი.

უწიგნური კაცი იმ ადამიანს ჰგავს, ცას მხოლოდ ჭიდან რომ ხედავს, _ უთქვამს ხალხს. ასე თუ ისე, ოცდამეერთე საუკუნეში, ტექნოლოგიური ბუმის ხანაში, როგორც არასოდეს, ისეთი სიმწვავით დადგა დღის წესრიგში მოწოდება წიგნებთან მეგობრობისაკენ.

ხალხმრავლობა იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელოვანთა დარბაზში 23 აპრილს. წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით ღონისძიება გაიმართა. იდეის ავტორი ლაშა ლორია გახლდათ.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა გიორგი ჩაჩუამ, პოეტმა ანტონ გაგუამ, დიდი ჯიხაიშის № 1 საჯარო სკოლის მოსწავლემ ლიკა კახაძემ, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ, საქართველოს პარლამენტის წევრმა, სამტრედიის მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი კახიანმა და სხვებმა ახალგაზრდებს, რომლებიც დარბაზში მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი, წიგნიერებისა და წიგნთან მეგობრობისაკენ მოუწოდეს.

ქართველი და უცხოელი კლასიკოსების ნაწარმოებების მიხედვით დასმულ შეკითხვებზე სწორი პასუხების გამცემნი წიგნებით დაჯილდოვდნენ.

იმ დღეს დარბაზში შეკრებილნი ცოდნის დაუშრეტელი წყაროს, კაცობრიობის უერთგულესი მეგობრის _ წიგნის როლზე საუბრობდნენ ადამიანთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში მადლობა უთხრა ქალბატონ ნატალია მანჯგალაძეს ღონისძიების ორგანიზებისათვის და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებებიც დააანონსა.

მოხარული ვარ, რომ ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ, კარგია, ამდენი ნიჭიერი ბავშვი რომ გვყავს. _ აღნიშნა ჩვენთან საუბარში განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ.

ლევან გაბეჩავა



და მოლალატე თურქ-სელჩუკივით მრძელ კიბეებზე არბის ჭინჭარი

ტკივილი

ამ ერთი, თუმცა მრავლისმთქმელი სიტყვით შეიძლება გადმოსცე მოკლედ ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველის, ღრმადმორწმუნე ქრისტიანის, ბატონ რეზო დიდიას ჩვენთან ამასწინანდელი საუბარი.

ბატონი რეზო, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "კორდზე მიკრული" სოფელ ტობათეს (ტოლების თემი) მკვიდრია.

ისმოდა ჩემს ბავშვობაში, ყმაწვილკაცობაში თანასოფლელთა მხიარული გადაძახილი. შრომაც უყვარდათ ტობათელებს და ლხინიც, ეხლა კი სოფელი ნასოფლარს, ერთ დროს გამართული კარმიდამოები ნასახლარს, საერთოდ კი, ტყეში მიტოვებულ სოროს ჰგავსო, _ გვეუბნება იგი და იმ დროს იხსენებს, დილით, ნაწვიმარზე, მისი ტოლი გოგობიჭები სიხარულით რომ კრეფდნენ კაკალს, მერე კი ჟივილ-ხივილით გადაირბენდნენ მთა-გორებს.

დაობლებულ სახლ-კარს რომ ვუცქერი, სევდით სავსე ფიქრში ვიძირები, ამოიოხრა ბატონმა რეზომ და ქვეყნის საერთო სატკივარზე _ დაცარიელებულ სოფლებზე, მიმქრალ კერიებზე, კაცის სულისაგან დაცლილი სოფლების სატკივარზე მეტად დაფიქრებისაკენ მოუწოდა ახალგაზრდობას, შვილებისა და შვილიშვილების თაობას.

დამპყრობელივით მიიპარება სურო მიტოვებული სახლების კიბეებზე...

ლევან გაბეჩავა

ღმერთმა დალოცოს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, დიდი მეცნიერი და ჭეშმარიტი მამულიშვილი...

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ეს სიტყვები ამონარიდია ბატონ თამაზ გამყრელიძის ავტორობით გამოსული წიგნის წინასიტყვაობიდან.

"რჩეული წერილები და გამოსვლები" წიგნის სახელწოდებაა, რომლის რედაქტორები არიან აკადემიკოსები როინ მეტრეველი, ვლადიმერ (ლადო) პაპავა და პროფესორი გრიგოლ ბერაძე.

ფასდაუდებელია აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის წვლილი ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეში. იგი არჩეულია არაერთი სახელმწიფოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად, გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, აკადემიისა, რომლის წევრებიც იყვნენ: ალბერტ აინშტაინი, ნილს ბორი, ფრიდრიხ ჰირცერბრუხი და სხვები.

საამაყოა ისიც, რომ ამ აკადემიის დარბაზში საქართველოს სახელმწიფო ალამიცაა დამაგრებული, ქართველი აკადემიკოსის პატივსაცემად.

ამას წინათ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება და წიგნის "რჩეული წერილები და გამოსვლები" პრეზენტაცია.

უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ (ლადო) პაპავას რეკომენდაციით ღონისძიებას გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" მხატვარ-კარიკატურისტი შოთა პაპავა ესწრებოდა, რომელმაც, რასაკვირველია, პატივად აღიქვა ყოველივე.

ვიმედოვნებთ, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე მომავალშიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მეცნიერების განვითარების საქმეში.

ლევან გაბეჩავა

კონფერენცია მშობლიური ენის სიწმინდის დაცვას მიეძღვნა

ნათია ნაცვლიშვილი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტი არაერთ საინტერესო პროექტს ახორციელებს. ამჯერად საგანმანათლებლო რესურსცენტრმა უმასპინძლა როგორც ახალგაზრდული პარლამენტის წევრთა, ისე სხვა საჯარო სკოლების მოსწავლეთა კონფერენციას, რომელიც ქართული ენის დღეს _ 14 აპრილს მიეძღვნა.

"ქართული მარტო ენაა? ქართული ქართველთ რწმენაა". ამ შინაარსის საინტერესო მოხსენება ახალგაზრდული პარლამენტის თავმჯდომარემ, ქეთევან აბრამიშვილმა წაიკითხა. მან ისაუბრა ენის ისტორიაზე, დიალექტთა ნაირსახეობაზე, უცხო სიტყვათა მოძალებაზე და სუფთა ქართულით მეტყველების აუცილებლობაზე.

"როგორც მიხეილ ჯავახიშვილი ამბობს, კუთხური წერა მეტად სახიფათო ხერხია. ერთი თუ გაიმარჯვებს, ათი დამარცხდება, რადგან სტილიზაცია ურთულესი და უძნელესი ფანდია". დიალექტიზმებს მხატვრულ-ემოციური ფუნქცია ენიჭება. ჩემი აზრით, ნოდარ დუმბაძის "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" მის პერსონაჟთა კუთხური მეტყველებით არის ორიგინალური და გამორჩეული. წარმოიდგინეთ ზურიკელა ან ბებია სალიტერატურო ქართულით მოსაუბრენი. ამ ტექსტს ხიბლს სწორედ გურული დიალექტი ჰმატებს.

ლაზარე ნინუამ, ვახტანგ ნიკოლეიშვილმა, თედო კოპალეიშვილმა, ბექა ჩანტლაძემ ასევე გამოთქვეს საინტერესო მოსაზრებები ენის სიწმინდის დაცვის შესახებ.

მარიამ აბრამიშვილმა წაიკითხა "ხმა კატამონთან", მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა თეატრის პატარა მსახიობებმა, გაგა კობახიამ და დადა ახალაძემაც შესანიშნავი ოდა უძღვნეს ქართულ ანბანს.

კონფერენცია უფროსებმაც შეაფასეს, ემოციური იყო სკოლა, "ცოდნის" სამოქალაქო განათლების პედაგოგის, ლუიზა მიქაუტაძის გამოსვლა, მან დადებითად შეაფასა კონფერენცია და მოსწავლეებს წარმატებები უსურვა, თან მოუწოდა სამშობლოს, ენისა და სარწმუნოების უდიდესი სიყვარულისაკენ.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის წამყვანმა სპეციალისტმა, ალექსანდრე თევზაძემ ერთგვარად შეაჯამა კონფერენცია:

"მადლობა მინდა გითხრათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, ქალბატონ ელიკო ანკვაბს, რომელიც ძალიან აქტიურად ხელმძღვანელობს ახალგაზრდულ პარლამენტს. ყველა მოსწავლეს, რომელთაც ასეთი საინტერესო მოსაზრებები გამოთქვით. დღეს რაც სჭირდება ჩვენს ქვეყანას, ის არის, რომ ჩვენი ენა და სარწმუნოება დავიცვათ, ვიყოთ ღირსეული ქართველები, ენისადმი ფრთხილად უნდა ვიყოთ, შეიძლება საუბრისას ვუშვებთ შეცდომებსაც, გურული დიალექტი ჩვენი მშვენებაა, ნაწილობრივ გურული ვარ, ნაწილობრივ _ იმერელი. ჩემს საუბარშიც შეიმჩნევა ხშირად გურული აქცენტები. ტოლები, საიდანაც მე ვარ წარმოშობით, ოდინდელი გურია იყო, ამ სოფელს ახლაც ეტყობა გურიის კვალი. ჩვენს ენასაც თავისი ისტორია აქვს, უნდა ვამაყობდეთ მისი წარსულით, მაგრამ მარტო ამით ტკბობაც არ გვარგებს, თუ არ ვიქნებით ფხიზლად, არ მივხედავთ ჩვენს ქვეყანას. ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანები თუ არ იქნენ, ენა დაიკარგება. მტერი ბევრი გვყავს, ბევრჯერ დაემუქრა საშიშროება სალიტერატურო ენის სიწმინდეს. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა თქვენ და ვისურვებ, კიდევ არა ერთ თემაზე გემსჯელოთ და გეფიქროთ ჩვენს დარბაზში."

სამტრედიის გუნდის "ლარიენ" ბათუმური წარმატება

ნათია ნაცვლიშვილი

7 წლიანი ტაიმ-აუტის შემდეგ სამტრედიაში განახლდა მუნიციპალური მხიარულთა და საზრიანთა ჩემპიონატი სკოლებს შორის.

აჩიკო ბოხუა მანსანკანის სასკოლო ჩემპიონატის ერთ-ერთი ორგანიზატორია. იგი ახალგაზრდაა, თუმცა, უკვე ძველი "კავეენშიკია, იუმორისტი, სცენარისტი, რეჟისორი, მსახიობი _ ასე ახასიათებს იგი თავის თავს. მას უთამაშნია საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა ნაკრებ გუნდში. ის ამ გუნდში იმერეთის ჩემპიონატიდან მოხვდა. აჩიკოს თამაში მოიწონა საქართველოს ნაკრები გუნდის იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა, "ასტამამ", ნიკოლოზ მახვილაძემ. გუნდი ბათუმში ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე გამოვიდა და გაიმარჯვა. აჩიკო იხსენებს, რომ წარსულში მათი, მე-13 (ამჟამად მე-10) სკოლის მხიარულთა და საზრიანთა ნაკრებ გუნდს სერიოზული წარმატებები ჰქონდა. სკოლის დამთავრებისთანავე პირველივე წელს მომზადა მისივე სკოლის გუნდი, რომელმაც სამტრედიის სასკოლო ჩემპიონატი მოიგო. მერე "საკავეენო" ცხოვრება მოდუნდა მუნიციპალიტეტში. ხანგრძლივი ტაიმ-აუტის დროს 2012 წელს აჩიკო სამტრედიის მხიარულთა და საზრიანთა ნაკრებ გუნდს "ლარიენს" ქმნის და თბილისში საქართველოს ჩემპიონატში ღებულობს მონაწილეობას.

სულ ახლახან ბათუმში აჩიკოს ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით მხიარულთა და საზრიანთა ჩემპიონატზე "შავი ზღვის ლიგა" წარსდგა სამტრედიის მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები გუნდი "ლარიენ". სამტრედიელებს სასიხარულო ამბავი უნდა გაცნობოთ, ამ გუნდმა დასჯაბნა შარშანდელი ჩემპიონი _ ბათუმის გუნდი და შემდეგ ეტაპზე, ნახევარფინალში გავიდა. ამავე ჩემპიონატში მონაწილეობდა თბილისის მხიარულთა და საზრიანთა გუნდი "კოზანოსტრა" და ქუთაისის გუნდი "შუჩაჩოები".

სამტრედიის გუნდის შემადგენლობაში შედიან: აჩიკო კოხრეიძე, ზიკო ჯინჭარაძე, სალომე ბალანჩივაძე, ლაშა სტურუა, ირაკლი კოტიშაძე, დიანა გოგიშვილი, მერი დავითაძე.

აჩიკო ბოხუა:

"ყველა გუნდი ერთი ნომრით წარსდგა. ნომრის მომზადებაზე ყველანი ერთად ვმუშაობთ. ჩვენმა მისალმებამ ალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. გოგონები ჭიქებით მაგიდაზე უკრავდნენ, ამ მელოდიას მთელი დარბაზი აჰყვა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს ბავშვები ძალიან დიდი ხანია თამაშობდნენ ერთად. ისინი შესანიშნავად წარსდგნენ პუბლიკის წინაშე. რაც ყველაზე მთავარია, ერთმანეთთან თბილი ურთიერთობა გვაქვს და ძალიან მეგობრული დამოკიდებულება. იმედი მაქვს, ეს გუნდი დიდხანს იარსებებს".

უნდა ითქვას, რომ ეს ახალგაზრდები ენთუზიაზმით მუშაობენ, მათი შრომა უდავოდ დასაფასებელია.

აჩიკო უახლოეს გეგმებზეც გვესაუბრება: "რამდენიმე დღეში თბილისში იწყება საქართველოს ჩემპიონატი KBN იგი ტარდება თსუ-ში. ჩვენ 3 დღით ადრე უნდა ჩავიდეთ თუ გვერდით დაგვიდგებიან, ამას რა სჯობს, პირადად მე ეს თამაში ისე მიყვარს, მშიერიც რომ წავიდე, მაინც წავალ და მივიღებ მონაწილეობას. ბავშვები რამდენად მოახერხებენ წამოსვლას, ესაა საქმე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ჩემპიონატია.

1 მაისს კი ტარდება სკოლებს შორის მხიარულთა და საზრიანთა ჩემპიონატის ნახევარფინალური შეხვედრა, 6 გუნდი გამოვა პუბლიკის წინაშე და ჟიური ფინალურ ეტაპზე 5 გამარჯვებულ გუნდს გამოავლენს.

არავინ იცის, ვინ გავარდება, გაიმარჯვებენ ღირსეულები, ეს ბავშვებისთვისაც დიდი სტიმულია. კომპეტენტური ჟიური გვყავს". ამჟამად აჩიკო ბოხუა ორ ფრონტზე იბრძვის: ემზადება როგორც სასკოლო ჩემპიონატისთვის, ისე სამტრედიის ნაკრები გუნდის "ლარიენის" შემდგომი წარმატებებისთვის. აჩიკო სასკოლო ჩემპიონატში მონაწილე რამდენიმე გუნდსაც (მე-10, მე-3 საჯარო სკოლები) ამზადებს.

აჩიკო ბოხუა: "წარმატებას ვუსურვებ ყველა ბავშვს, მანსანკანის სასკოლო ფინალი რომ ჩატარდება სამტრედიაში, ჟიური შეიცვლება, დიდი შანსია ჩამოვიდნენ ამიკო და ფაქო. ამიკო ჩემი მეგობარია, სამტრედიაში ხშირად ჩამოდის. ქუთაისში, ზესტაფონში, წყალტუბოში, ხონში ასევე ტარდება მხიარულთა და საზრიანთა ჩემპიონატი სკოლებს შორის, ვგეგმავთ, სამტრედიაში გამარჯვებული სკოლების გუნდები შეხვდნენ ზესტაფონში გამარჯვებული სკოლების გუნდს. სავარაუდოდ, შეიქმნება სასკოლო ნაკრები გუნდი და დიდი ალბათობით რამდენიმე სასკოლო ნაკრები გუნდი ერთამანეთს სამტრედიაში შეეჯიბრება. ჩემი აზრით ეს ძალიან გამოაცოცხლებს ქალაქს: "მადლობა მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს, მადლობა ვალერი ფოცხვერიას, ნატალია მანჯგალაძეს, ლაშა ლორიას და აკაკი ჭანჭალეიშვილს თანადგომისათვის".

წარმატებული ქალი წარმატებული საქართველოა

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დარბაზი მღელვარე დისკუსიის ადგილად იქცა. სადისკუსიო თემა იყო ძალზე აქტუალური: "გენდერული თანასწორობა და ხელშეწყობა". თემა ღანირის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ ნინო დანელიამ საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ კონფერენციაზე წარმოადგინა. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ის სკოლის სამოქალაქო კლუბის ლიდერიც არის.

მომხსენებელმა მოიყვანა სტატისტიკა, სადაც გამოიკვეთა, რომ გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოებში ქალი სათანადოდ არ არის წარმოდგენილი. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში 150 დეპუტატიდან მხოლოდ 18 არის ქალი, 59 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ თიანეთს ჰყავს ქალი გამგებელი, არა გვყავს გუბერნატორი და მერი ქალი. მომხსენებელმა საკუთარ სოფელში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიც გააცნო პუბლიკას, და გვამცნო, რომ კითხვაზე, რაში ხედავენ ქალის როლს, პასუხი იყო, ქალის ერთადერთი საქმიანობა ოჯახში ბავშვის აღზრდაა და სამზარეულოში ფუსფუსი. წარმატებული ქალი წარმატებული ქვეყნის საწინდარია! ასეთი იყო მომხსენებლის საბოლოო, დასკვნითი მოსაზრება.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა აღნიშნა: "სიტყვა გენდერი 1975 წლიდან შემოიჭრა, ჩვენ, ქართველებს ისეთი ტრადიცია გვაქვს, რომ ქალი არასდროს ყოფილა დაჩაგრული. მე-12 საუკუნეში საქართველოს ჰყავდა მეფე-ქალი თამარი. ჩვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2 ქალია, 13 ხელმძღვანელი მუშაკიდან, მხოლოდ 3-ნი ვართ ქალბატონები. ძალიან ნიჭიერი და აქტიური ქალები ჰყავს საქართველოს, საერთაშორისო ორგანიზაციები მოგვიწოდებენ, მეტად წამოიწიოს ქალის როლი ქვეყნის მართვაში და ამ კუთხით მიდის მუშაობა, ქალის ტვირთი გაცილებით მძიმეა, ვიდრე კაცის".

ქალბატონმა ლიზამ ასევე მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკას, საინტერესო ღონისძიებათა მოწყობის გამო.

როგორც შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მზია ჩიხლაძემ განაცხადა, ბიბლიოთეკის კვირეულის მოწყობის ტრადიცია 2003 წლიდან დამკვიდრდა. მას შემდეგ ისინი ყოველწლიურად აღნიშნავენ კვირეულს. კვირეულის ფარგლებში არაერთი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი.

ღანირის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ნინო ყურაშვილმა აღნიშნა, რომ მათი სკოლის მოსწავლეები დიდ დროს უთმობენ ბიბლიოთეკაში ცოდნის მიღებას. ბიბლიოთეკის ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა იზაბელა ლეგაშვილმა გულისტკივილით თქვა, რომ ბიბლიოთეკაში მოდიან მოსწავლეები, რომლებიც ამბობენ, პედაგოგებმა გვითხრეს, ინტერნეტში მოიძიეთ ინფორმაცია არა წიგნებშიო. ალბათ, ჩვენ უნდა ვიმუშავოთ უფრო მეტად ბიბლიოთეკის როლი რომ გავზარდოთ. _ აღნიშნა მან.



დარბაზში მყოფმა, საფრანგეთიდან ჩამოსულმა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ლალი მინაშვილმა აღნიშნა, მითია, დებულება, თითქოს მამაკაცის გონება ქალის გონებაზე უფრო ძლიერია. უბრალოდ, მამაკაცი მხოლოდ თავის საქმეზეა ორიენტირებული და კონცენტრირებული, ქალის საფიქრალი საკითხების სპექტრი კი გაცილებით ფართოა, ამიტომაც მამაკაცები უკეთ აღწევენ შედეგებს საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამ მოსაზრებას დარბაზში მყოფი პედაგოგი თენგიზ წულაიაც დაეთანხმა.

ჩვენი გაზეთის პასუხისმგებელმა მდივანმა, ლევან გაბეჩავამ განაცხადა: გვყოლია შესანიშნავი, ხელმძღვანელი მუშაკები, როგორც ქალები, ისე კაცები, მაგალითად საოცარი კვალი დატოვა ცისანა მებუკემ, სოფელ ღანირში, ასევე დარბაზში იმყოფება გიგანტი ბიბილეიშვილი, რომელმაც სოფელ დიდი ჯიხაიშის გამგებლად მუშაობის დროს დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, დარბაზშია ქალბატონი ლიზა კრავეიშვილი, შესანიშნავი ინტელიგენტი, როცა გენდერულ თანასწორობაზე ვსაუბრობთ, ხომ არ ჯობს ჯერ ემიგრაციაში უცხოთა მოსამსახურედ გადახვეწილი ქართველი ქალბატონები დავაბრუნოთ და შემდეგ ვილაპარაკოთ ამ საკითხებზე".

საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტმა ნათია იობაძემ აღნიშნა, თუ ქალი ოჯახში დათრგუნულია, ასეთი ოჯახიდან გამოსული ქალი საზოგადოებრივად პროდუქტიული ვერ იქნებაო.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტის ლიდერმა ქეთევან აბრამიშვილმა კი, სულ ახლახან მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველ ქალ მოჭადრაკეთა გამარჯვებით კმაყოფილება გამოთქვა და აღნიშნა, როცა ჭადრაკს აქტიურად ვთამაშობდი, რატომღაც ტურნირებს უფრო მაღალი შედეგებით არა ვაჟები, არამედ ქალები ამთავრებდნენო.

უცხოეთში ქალის გადახვეწის თემა განავრცო სამკითხველო დარბაზის უფროსმა ბიბლიოთეკარმა რუსუდან კახიანმა და აღნიშნა: სამწუხაროდ, გაიცვალა ქალის და მამაკაცის როლი და ოჯახის მარჩენლის მისია ქალებმა აიღეს. სოციალურ პრობლემებამდე დავედით. ეკონომიკა განსაზღვრავს ყველაფერს და მათ შორის, როგორც ჩანს, ქალის და მამაკაცის თანასწორობას.

"ამომავალ წელს ჯემალ ღაღანიძის იუბილე სამტრედიაში უნდა აღინიშნოს"

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიასთან დიდი ეროსის შემდეგ კიდევ მეორე ღანირელი, შესანიშნავი მსახიობი, ჯემალ ღაღანიძე ასოცირდება. შემოქმედის ცხოვრების კრიალოსანზე 82 წელი ჩამოიმარცვლა, ხელოვნების სამსახურში დაღვრილი ოფლი, დახარჯული შრომა და ჯაფა ხალხის სიყვარულად და პატივისცემად დაუბრუნდა ღვაწლმოსილ მსახიობს.

იუბილარ შემოქმედს იმერეთის გულმა _ ქუთაისმა უმასპინძლა. ლადო მესხიშვილის თეატრის სცენაზე რუსთაველის თეატრის დასმა შესანიშნავი სპექტაკლი "მოხუცი ჯამბაზები" (რეჟისორი გოჩა კაპანაძე) წარმოადგინა. ეს სპექტაკლი რამდენჯერმე იხილა ქუთაისელმა მაყურებელმა.

წლევანდელ წარმოდგენას სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირებიც დაესწრნენ, წარმოდგენის ბოლოს შესანიშნავ მსახიობს ღირსეული იუბილე მიულოცეს და საჩუქარიც გადასცეს.

მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე: "ლადო მესხიშვილის თეატრში შესანიშნავი წარმოდგენა გაიმართა. საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო ჩვენი გუნდი. იქ გახლდნენ გამგებელი და სამივე მოადგილე, სამსახურის უფროსებიდან მხოლოდ მე გახლდით. საკრებულოს თავმჯდომარე მისი მოადგილე და საფინანსო განყოფილების უფროსი, ასევე, კულტურის ცენტრის დირექტორი.

ბატონმა ჯემალ ღაღანიძემ სცენიდან აღნიშნა სპექტაკლის ბოლოს, ვიცი, ჩემი სამტრედიელები ბლომად გვსტუმრობენო და მადლობა გადაგვიხადა. წარმოდგენის ბოლოს სცენაზე მიიწვიეს ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია და ვეფხია ნადირაძე. ბატონმა გამგებელმა მიულოცა ღირსეული იუბილე მთელს თეატრალურ დასს, მადლობა გადაუხადა, შესანიშნავი სპექტაკლის გამო, შემდეგ ბატონმა ვეფხიამ იუბილარს საჩუქარი გადასცა. ბატონმა ვალერიმ ასევე გასცა დაპირება, მომდევნო დაბადების დღე მსახიობს სამტრედიაში გადავუხადოთ".

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი:

"შესანიშნავი სპექტაკლია "მოხუცი ჯამბაზები" ძალიან აღიარებულია, არაერთხელ გასულა იგი საზღვარგარეთ. წლების წინ მასში მონაწილე მსახიობები გაცილებით ახალგაზრდები იყვნენ. უკვე ასაკში შესულებს თითქოს ხასიათში აქვთ ჩამჯდარი როლები, ეს იყო არაჩვეულებრივი შესრულება, სპექტაკლმა მაყურებლები გადაგვტყორცნა სხვა სამყაროში და დაგვანახა, თუ რა შეიძლება მოელოდეთ ადამიანებს, რომლებიც იყვნენ კულტურისა და განვითარების მწვერვალზე, რა ტრაგიკული შეიძლება იქნეს ადამიანთა ცხოვრების დასასრული. ეს ძალიან დამფიქრებელია ყველასათვის. ჩვენთვის საამაყოა, რომ ჩვენი რაიონის მკვიდრია ბატონი ჯემალ ღაღანიძე, ქუთაისელმა მაყურებელმა ძალიან კარგად მიგვიღო, ძალიან მაღალი საზოგადოება იყო დამფასებელი და შემფასებელი როგორც ამ სპექტაკლის, ისე ბატონი ჯემალის. იქიდან ძალიან კმაყოფილნი და ბედნიერები წამოვედით, მისი იუბილე ასე ღირსეულად აღინიშნა. იქვე გაჟღერდა, რომ ბატონი ჯემალის მომავალი იუბილე სამტრედიაში უნდა აღინიშნოს".

ყრყუეი ავტორიტეტი

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის კულტურული საზოგადოება გენო გეგეშიძის წიგნის "ცხოვრება ექიმი კაციასა" პრეზენტაციაზე მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში შეიკრიბა. სიმბოლურიც იყო, რომ ბიბლიოთეკამ ღირსეული პატივი მიაგო ამაგდარი ექიმისა და სამტრედიელის ხსოვნას. ვინც გენო გეგეშიძეს იცნობდა, დაგვეთანხმება, რომ ბიბლიოთეკა მისთვის ერთადერთი სულიერი ნაგთსაყუდელი იყო. ის ამ კერას ყოველდღე სტუმრობდა გარდაცვალებამდე, ხოლო ახალგაზრდობის ჟამს, როგორც ბიბლიოთეკაში ამბობენ, აქტიური მკითხველი იყო.

წიგნიერი, ღრმად განათლებული, ღირსეული პიროვნება და ბრწყინვალე ექიმი რამდენიმე წელია, რაც სამტრედიელთა ხსოვნაში ბინადრობს, მაგრამ ამ ხსოვნას რომ თაობები შეინახავენ, წიგნის პრეზენტაციის დღემაც ცხადყო. იმ დღეს დარბაზში ძირითადად თმებშეღერცხლილი ინტელიგენცია იჯდა, ის ადამიანები, რომლებიც არა რაღაც ვალდებულებების მორჩილებით შეიყარნენ, აქაოდა, გარდაცვლილზე კარგი ვთქვათო არამედ, შეიკრიბნენ გენო გეგეშიძის გულწრფელი სიყვარულით, მისდამი პატივისცემისა და თაყვანისცემის გრძნობით.

ღონისძიება არასამთავრობო ორგანიზაცია "სამტრედიელის" (ხელმძღვანელი თამაზ მურღულაია) და ბიბლიოთეკის ერთობლივი ორგანიზებით მომზადდა. საღამო წიგნის რედაქტორმა, ჩვენი გაზეთის პასუხისმგებელმა მდივანმა, ლევან გაბეჩავამ წაიყვანა. ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლამარა დუნდუამ არცთუ შორეული წარსული გაიხსენა, როცა დედაქალაქში, პროფესორ ნოდარ ყიფშიძესთან გენო გეგეშიძის წერილი მიიტანა, პროფესორმა წერილს დახედა თუ არა, მაშინვე განუცხადებია თურმე: ბატონი გენო დღეს ჩემს გვერდით უნდა იყოს, მაგრამ თავის რაიონში რიგით ექიმად მუშაობა არჩიაო. ქალბატონმა ლამარამ და ბიბლიოთეკის თითქმის ყველა თანამშრომელმა ერთხმად გაიხსენეს, რა თავგამოდებული და ლამის მახვილამოწვდილი იცავდა გენო გეგეშიძე ბიბლიოთეკას, როცა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა.

ლევან გაბეჩავა: "ბატონი გენო დაიბადა სამტრედიაში, ოქროს მედალზე დაამთავრა ვაჟთა პირველი სკოლა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, იყო სტალინური სტიპენდიანტი და არაერთი შეთავაზების მიუხედავად, მშობლიურ რაიონში ჩამოვიდა და ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთგულ გუშაგად ედგა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. მართლაც "უვერცხლო მკურნალი" იყო და ბევრი ღირსეული თვისებით გამოირჩეოდა. ის გახლდათ მაღალკვალიფიციური, პრაქტიკოსი ექიმი, ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზეც მოღვაწეობდა, ინტელექტი რომ არ ჰქონოდა, ვერ დაიმკვიდრებდა სხვა სფეროში ადგილს. ის იყო შესანიშნავი კალმოსანი, შესანიშნავი მაძიებელი ექიმი. ის იყო ჟურნალ "საქართველოს სამედიცინო მოამბის" სარედაქციო საბჭოს წევრი, სადაც თანამშრომლობდნენ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, აკადემიკოსები, დოქტორები, პროფესორები. წლების განმავლობაში ის დარაჯად ედგა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის საქმეს. დღე არ გავიდოდა, ბატონი გენო გეგეშიძე, შალვა გოგავა და მიშა ნამიჩეიშვილი რედაქციაში არ მოსულიყვნენ. ბატონი გენოს ჩვენთან ყოველი მოსვლა ზეიმი იყო, მისი წერილები არა მხოლოდ სამედიცინო პრობლემებს ეხებოდა, არამედ საზოგადოებრივად აქტუალურ და მნიშვნელოვან მოვლენებს. ის არც ერთი ხელმწიფის ნავში არ მჯდარა, არ ყოფილა არც ერთი პარტიული ორგანიზაციის წევრი. ბატონი გენო იყო სამტრედიაში "რუსთაველის საზოგადოების" ერთ-ერთი დამაარსებელი.

ის იმ გამონაკლისთა შორის იყო, რომლებიც აღიარებდნენ მის პროფესიაში მოწინავე ადამიანებს და მათში მხოლოდ კონკურენტს არ ხედავდა. ჯერ კიდევ 30 წლის უკან მან სამტრედიელებს ამცნო, რომ იმხანად ახალგაზრდა მკურნალების, ნანა ცირეკიძისა და ნუნუ აბრამიას სახით რაიონს ეყოლებოდა შესანიშნავი პროფესიონალები. ასევე მისი თავმდაბლობის შესანიშნავი მაგალითია, როცა ბატონი გენო ამბობს: მიხარია, სამტრედიის ქუჩებში რომ დავდივართ და მალხაზ მირცხულავას ჩემზე მეტი ადამიანი ესალმებაო. მინდა ვთქვა, ბატონი გენო დღეს ცოცხალი რომ ყოფილიყო, ალბათ, პირველი გამოეხმაურებოდა იმ წარმატებას, რასაც ჩვენი თანამედროვე, მერაბ ჯანელიძე აღწევს და რატომღაც დღეს ვდუმვართ საზოგადოების ყველა ფენა. ეს ჩემი აზრია და გთხოვთ, საწყენად არ მიიღოთ".

ლევან გაბეჩავა გამოვიდა ინიციატივით, აღდგეს ექიმთა სამეცნიერო საზოგადოება და მას გენო გეგეშიძის სახელი ეწოდოს, ამ ინიციატივას ტაშით შეხვდა აუდიტორია.

ქალბატონმა ლიანა გეგეშიძემ მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს, ასევე, ზაზა ვაშაკიძეს, რომელმაც, მისი თქმით, ყველაფერი გაკეთა, რომ ბატონი გენო სიცოცხლეშიც კარგად ყოფილიყო და მისი სიკვდილის შემდეგაც სათანადოდ დაფასებულიყო მისი ხსოვნა.

"შესტუმრა თემურ ქორიძე და მითხრა, აუცილებლად უნდა გამოვცეთ მისი წიგნიო, ძალიან მადლობელი ვარ ჩვენი ხელისუფლების, რომელმაც თანადაფინანსება გამიწია". _ განაცხადა ქალბატონმა ლიანამ.

რაიონის ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგარი ბრწყინვალე ექიმი _ ასე შეაფასა ექიმმა ლუარა კახიანმა ბატონი გენო. "ჩვენ მოვიხსენიებთ მას, როგორც დიდად განსწავლულს, სამტრედიის საამაყო შვილს, და ვართ ამაყები, რომ მის გვერდით მოგვიწია მუშაობა, მახსოვს მისი რამდენიმე შენიშვნაც, რაც სიამოვნებით მიმიღია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული". _ აღნიშნა ქალბატონმა ლუარამ.

კარდიოლოგი ნანა ცირეკიძე იხსენებს, რომ 20 წლის განმავლობაში ერთად იმუშავეს, მერეც გაგრძელდა მათი თანამშრომლობა. "მე არ ვეთანხმები აზრს, რომ ისეთი ერუდიციის ადამიანი, როგორიც ის იყო, არ უნდა ყოფილიყო პროვინციაში. ბატონი გენო იყო ადამიანი, რომელზეც, შეიძლება სწორება. ბევრი ამბობს, ყველას არ სინჯავდაო. იმდენად ახლობლად მიიჩნევდა ამ ავადმყოფებს, დილით რომ მიემართავდით, გამარჯობათ გენად ლუარსაბოვიჩ! ის გვეტყოდა, იცი რა, ამა და ამ პალატაში ინფარქტი არ გამოგვიყენებია, მერაბ ჯანელიძე ეპაროსო, მთელი ღამე ავადმყოფებზე ფიქრობდა, ყველაფერს ვერც ტვინი დაიტევს, ვერც გული, ას კაცზე რომ იფიქრო, ამისთვის არც დრო გეყოფა"...

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილიც შეუერთდა გამომსვლელთა პათოსს: "ამ არაჩვეულებრივმა ადამიანმა ლამაზი წარსული დატოვა, დავესესხები მიხეილ ქვლივიძეს, რომელმაც გიორგი შავგულიძეს ასეთი სიტყვები მიუძღვნა: "რამდენი ჩვენგან წასული კაცის ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს, მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც, კაცი, რომელიც დაკლდა ქალაქს". _ ვინც მას იცნობდა, ყველა მოიგონებს ბატონ გენოს და მისი წიგნიც საუკეთესო საჩუქარია ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის".

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ აღნიშნა, რომ ხელისუფლების ვალდებულება იყო წიგნის გამოცემის დაფინანსება და აქ სამადლობელი არაფერია: "ის იყო გამორჩეულად მართლის მთქმელი კაცი, არ ეპუებოდა არც ერთ ხელისუფლებას, თვით ეროვნულსაც, იყო ჭეშმარიტი ინტელიგენტი, იყო კრიტიკულად განწყობილი ყველა ხელისუფლებისადმი და არა ჩასაფრებული. საკრებულოს თავმჯდომარე რომ ვიყავი, მასთან ურთიერთობა მომიწია, მასთან მეგობრობა არ მაკავშირებდა, მაგრამ მის მიმართ ყოველთვის მქონდა მორიდებისა და მოწიწების გრძნობა. რამდენჯერმე მას ჩემთვის რჩევაც მოუცია, მის აზრს ყოველთვის პატივს ვცემდი. ღმერთმა ჰქნას, ჩვენს რაიონში ბევრი ადამიანი ყოფილიყოს მისნაირი ერთგული ამ ქალაქისადმი, მადლობა ქალბატონ ლიანას და მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას, რომ ახალ თაობას კიდევ ერთხელ შეახსენეს, თუ ვინ იყო გენო გეგეშიძე".

ექიმმა ზაზა ვაშაკიძემ აღნიშნა, რომ სამაგალითო ადამიანი იყო მისთვის ბატონი გენო: "პირველ ყოვლისა, მისი ნიჭიერება მის უსაზღვრო შრომისმოყვარეობაში გამოიხატებოდა, ეს იყო მისი ნიჭიერების საიდუმლოც და საფუძველიც. თავადაც ხაზს უსვამდა, რომ მისი დაუზარელი მუშაობის წყალობა იყო, რომ ჩვენ დღეს მას განსაკუთრებულ ადამიანად ვიხსენიებთ. სიცოცხლის ბოლო დღეებშიც კი, თუ მის უკანასკნელ წუთებს არ ჩავთვლით, როცა ავადმყოფობამ სძლია, ის სტუდენტივით მეცადინეობდა. ეს მუშაობა შეეხებოდა როგორც მის პროფესიულ საქმიანობას, ისე საზოგადოებრივს. მას არ შეეძლო რაიმე ზერელედ გაეკეთებინა.

გამომსვლელმა ასევე გაიხსენა, რამდენად სურდა ექიმს კათედრაზე დარჩენა და სამეცნიერო მუშაობის გაგრძელება, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ მიეცა:

"სტალინურმა სტიპენდიანტმა, ასევე წარმატებულმა კურსდამთავრებულმა გადაწყვიტა ასპირანტურაში ჩაბარება. გამოცდაზე 5-ნი გადიოდნენ, აქედან 3 პროფესორის, ერთი კი აკადემიკოსის შვილი იყო. 4-ივე გამოცდა ბატონმა გენომ ბრწყინვალედ ჩააბარა, ოთხივე ახალგაზრდა ძლიერი იყო, მაგრამ ბატონი გენო ერთი თავით მაღლა იდგა დანარჩენებზე, ბოლო გამოცდა მას სპეციალობაში ჰქონდა, ხედავს, რომ მას აწვალებს კომისია, ბილეთის გარდა 30-მდე კითხვა დაუსვეს. ბოლო 10 კითხვა ეხებოდა ცნობილი და პოპულარული მეცნიერის, ბოტკინის შრომებს, კითხვები სცდებოდა სტუდენტური პროგრამის ფარგლებს, მათდა გასაკვირად გენომ ყველაფერს უპასუხა, ბოლოს რომ შეატყო, კომისია ძალიან წვალობდა და სიმწრის ოფლი სდიოდათ, უთხრა: თემა შევცვალოთ, თორემ ბოტკინის კალოშის ნომერიც კი ვიცი. რა თქმა უნდა, ის ვერ მოხვდა და ავტორიტეტმა გაიმარჯვა. აქედან დაიწყო მისი პროტესტი, და მან მოითხოვა ყველაზე მიყრუებულ ადგილას განაწილება. აი, ეს თხოვნა კი მაშინვე დაუკმაყოფილეს. ხონის რაიონის სოფელ კინჩხის ამბულატორიაში უბნის ექიმად გაამწესეს. ამ მაღალმთიან სოფელში ერთადერთი ტრანსპორტი ექიმის ავადმყოფთან მისასვლელად ცხენი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, დარსა თუ ავდარში ცხენზე ამხედრებული გენო გეგეშიძე".

უდიდესი სითბითი და სიყვარულით მოიხსენია შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორმა ბეჟან გოგიამ ბატონი გენო და ისიც გაიხსენა, თუ როგორ უთხრა მას დედაქალაქში მოღვაწე პროფესორმა მხეიძემ: "სამტრედიელებს გენო გყავთ და ჩემთან რა გინდათო, და დააბარა: ექიმის სახელს ნუ არცხვენს, ფული აიღოსო!"

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, კობა ძიძიგურის თქმით, საამაყოა, რომ ამ ქალაქში ცხოვრობდა ჭეშმარიტი პატრიოტი ქართველი და ასხივებდა სითბოს და სიყვარულს, რასაც ბევრი გრძნობდა, ბევრი _ ვერა. ღმერთმა კიდევ ბევრი მსგავსი ქართველი მოგვცესო, _ აღნიშნა მან.

ნათესაური კავშირი ჰქონდა მასთან ანტონ გეგეშიძეს. ღვაწლმოსილმა ინჟინერმა ბრძანა, რომ გენო გეგეშიძე ჩვენი ქვეყნის სიამაყე იყო და დარჩება. "ჩვენს საგვარეულოში დაბადებული ყველა ნიჭიერ ბიჭს პატარა გენოს ვარქმევთ". _ აღნიშნა ბატონმა ანტონმა.

მხატვარმა გივი ფრანგიშვილმა უდიდეს ესთეტად მოიხსენია ბატონი გენო და თქვა: "მან ბრწყინვალედ იცოდა სახვითი ხელოვნება, მან, შალვა ჩიტიშვილმა, შალვა გოგავამ, ოთარ შანიძემ, მიშა ბულკათმა და ნათელა გელეიშვილმა აღმომაჩინეს და შემდეგ მოეწყო ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა".

პოეტ ბაჩუკი ჩაბრაძის დედამ, პედაგოგმა გულიკო გოგიტიძემ გაიხსენა, რა დიდი სიყვარულით უსურვა ზურგის ქარი ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტს ღვაწლმოსილმა ექიმმა.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, მსახიობმა მზია ჩიხლაძემ და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა რუსუდან კახიანმა უდიდესი სითბითი და სიყვარულით გაიხსენეს ბიბლიოთეკის უძვირფასესი სტუმარი, აღნიშნეს, რომ გენო გეგეშიძის ყველა სტუმრობა მათთვის ზეიმი იყო.

ვინაიდან პრეზენტაციას ვერ დაესწრო ლიტერატორი თემურ ქორიძე, გენო გეგეშიძისადმი მიძღვნილი მისი სიტყვები აუდიტორიას ნათია ნაცვლიშვლმა გააცნო:

"ჩვენ ძალიან დიდხანს გვისაუბრია სხვადასხვა საკითხზე და ყოველთვის მანცვიფრებდა მისი საოცარი თავაზიანობა, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, ამასთან, ის იყო უაღრესად კეთილშობილი ადამიანი. მისი ნაზრევი სავსეა სიბრძნით, მას ჰქონდა ნატიფი სტილი, ის იყო ესთეტი, თავისი ბუნებით... ბევრი შემიძლია ვისაუბრო მასზე, როგორც პიროვნებაზე, ადამიანზე, მის უანგარობაზე, ალტრუიზმზე, ჰუმანიზმზე და მის შეურიგებლობასა და უკომპრომისობაზე ყოველივე ბოროტისა და უარყოფითის მიმართ".

ქალბატონმა ნინეზა გორდულაძე-ჩიტიშვილმა ისაუბრა, თუ რაოდენი თბილი და შესაშური ურთიერთობა აკავშირებდათ ერთმანეთთან მის მეუღლეს, პოეტ შალვა ჩიტიშვილსა და გენო გეგეშიძეს.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა იზაბელა ლეგაშვილმა წაიკითხა წიგნში შესული გენო გეგეშიძის წერილები "თემურ ნუცუბიძის ხსოვნას", "ოთარ შანიძის გამოსათხოვარი", ჩვენმა კოლეგამ, მხატვარ კარიკატურისტმა, შოთა პაპავამ _ შალვა ჩიტიშვილისადმი მიძღვნილი გენო გეგეშიძის პუბლიკაცია "გათენებამდე ყიოდა მამალი" და ზოია ვაშაკიძის შესანიშნავი ლექსი, ამაგდარი ექიმისადმი მიძღვნილი.

ქეთევან აბრამაშვილმა კი აუდიტორიას ექიმების, ნელი დადიანისა და ზინაიდა ნაცვლიშვილისადმი მიძღვნილი გენო გეგეშიძის წერილები გააცნო. ნინო ტონიას "უვერცხლო მკურნალი" და ღვაწლმოსილი ჟურნალისტის, კორნელი ჩიხლაძის ლექსი გენო გეგეშიძეზე პუბლიკას მზია ჩიხლაძემ წაუკითხა.

ექიმმა ლიანა შენგელიამ კი, "სამტრედიის მაცნეს" განუცხადა: "ის იყო შესანიშნავი კოლეგა, ბატონი გენო ძალიან გვიყვარდა კოლეგებს, მახსოვს მისი ენაკვიმატური ლექსები, მაგალითად ასეთი: "ნეტავ, გვანატრა, გვანატრა და ნატვრა აგვიხდებოდეს, 5 წუთიანი თათბირი მთელ საათს არ გრძელდებოდეს, რენტგენის სხივი ექიმებს თვალებში გაგვიჩნდებოდეს" (რენტგენის აპარატი სულ გაფუჭებული იყო)."

ადამიანი-ზნეობა ასეთი ეპითეტით დაასრულა ბატონ გენოზე საუბარი ზაზა ვაშაკიძემ.

“ფილოლოგი ეკონომიკაში”

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენი რუბრიკის სტუმარი სამტრედიიდან დედაქალაქში წასული ქალბატონია, ქალბატონი დატვირთული წლებითა და რეგალიებით. ორივე მისი სიმდიდრეა, 82 წლის ასაკში ის უსათვალოდ კითხულობს წიგნებს, იუარა, რას ვიტყვი საინტერესოსო, მაგრამ ინტერვიუზე მაინც დავითანხმეთ.

ლელი (ნუნუ) ჭანტურია ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და ვიცეპრეზიდენტია. სულ რამდენიმე თვეა, რაც მან ლექციების წაკითხვა შეწყვიტა, ის წლების განმავლობაში სხვადასხვა ინსტიტუტებში ეკონომიკურ საგნებს ასწავლიდა. ამ დღეებში ქალბატონი ლელი სამტრედიას სტუმრობდა, ვისარგებლეთ შემთხვევით და ბევრ საინტერესო საკითხზე გავესაუბრეთ.

ოქროს მედალზე დაამთავრა იმჟამინდელი რკინიგზის მე-13 საშუალო სკოლა, განსაკუთრებული წარმატებები, როგორც ამბობს, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ჰქონდა, ყველა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ურჩევდა, ფილოლოგი გამოსულიყო. მოხდა ისე, რომ საბუთები სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე შეიტანა. ინსტიტუტი წითელ დიპლომზე დაამთავრა და ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის მეურნეობაში გაანაწილეს. 2 წელი საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების გამგედ იმუშავა, შემდეგ თბილისს დაუბრუნდა, მუშაობდა ეკონომიკურ კვლევათა ლაბორატორიაში, ლაბორანტად. იმხანად ინსტიტუტებში სასწავლებლად შემოიღეს ახალი საგანი _ გამოთვლითი ტექნიკა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა ის მოსკოვში მიზნობრივ ასპირანტურაში სასწავლებლად გაგზავნა. 2 წელი ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტში ასპირანტურა გაიარა, მაგრამ ლექტორობა არ მოუწია, იმხანად სოფლის მეურნეობის სამინისტროს დიდი რაოდენობით ჰქონდა მიღებული გამოთვლითი ტექნიკა, ეს ტექნიკა მეურნეობებს დაურიგეს, მაგრამ ის რომ გამოეყენებინათ, სჭირდებოდათ სპეციალისტი და სამინისტროში დანიშნეს მთავარ სპეციალისტად გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების დარგში. 2 წელი იქ იმუშავა, ამ დროს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის კვლევითი ინსტიტუტის დირექციამ მოითხოვა მისი კანდიდატურა.

“ამ ინსტიტუტში 13 წელი დავყავი, გამოთვლითი ტექნიკის და მათემატიკური მეთოდების დანერგვის დარგში მქონდა კარგი გამოკვლევები. ცეკას დავალება გვქონდა: სოფლის მეურნეობის 26 კულტურაზე მოვამზადეთ ტექნოლოგიური რუკები, გამოვეცით სახელმძღვანელოდ. ვმუშაობდი ფინანსთა სამინისტროს კვლევით ინსტიტუტის განყოფილების გამგედ, შემდეგ სამთო-მეტყევეობის ინსტიტუტში, სადაც იკვლევდნენ სატყეო მეურნეობის ეკონომიკურ საკითხებს, მის ლაბორატორიას 12 წელი ვხელმძღვანელობდი”. _ ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

არის ის რამდენიმე კერძო ინსტიტუტის პროგრამების ავტორი. 18 წლის განმავლობაში იყო თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ინსტიტუტში პრორექტორი.პარალელურად მუშაობდა ორ სხვა ინსტიტუტში. ასწავლიდა საგნებს: ეკონომიკურ თეორიას, ეკონომიკურ გეოგრაფიას, ბიზნესის საფუძველებს, მარკეტინგს და მენეჯმენტს. ფიზიკურად არ შეეძლო, თორემ რამდენჯერმე მიწვევა ჰქონდა სახელმწიფო უნივერსიტეტებში. არის 67 სამეცნიერო შრომის ავტორი. საერთაშორისო სიმპოზიუმებზე მოხსენებებით წარმდგარა ქალაქებში: მინსკში, მოსკოვში, ლენინგრადში, ბალტიისპირეთის ქალაქებში, მისი 25 შრომა საკავშირო სამეცნიერო ჟურნალებშია დაბეჭდილი. “მქონდა მოთხოვნა წიგნზეც, მაგრამ მეუღლე მყავდა ავადმყოფი და ფიზიკურად ვერ შევძელი. გავყევი და ვუერთგულე იმ პროფესიას, რომელიც ჩემი თავდაპირველი არჩევანი არ იყო, მაგრამ არ მოვწყვეტილვარ ერთი დღითაც წიგნს, მხატვრულ ლიტერატურას. 16-მა ავტორმა მანდო თავისი წიგნის რედაქტორობა, ამათგან რვა წიგნი იურიდიული პროფილისა იყო. არასოდეს დამიბეჭდავს, მაგრამ ჩემთვისაც ვწერდი, ჩემმა მეგობრებმა ფილოლოგი ეკონომიკაში მიწოდეს. ალბათ, მეტ სარგებლობას მოვიტანდი, ჩემი თავდაპირველი მიზანი რომ განმეხორციელებინა”. _ გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი.

ჩვენი მუნიციპალიტეტის დღევანდელობაზეც ვესაუბრეთ ქალბატონ ლელის: “ამ ქალაქში ძალიან ხშირად იცვლებოდნენ ხელმძღვანელები, მაგრამ, რატომღაც ყველა იყო სხვა რაიონებიდან და ტრამპლინად იყენებდნენ სამტრედიას. ამ რაიონს დიდი შესაძლებლობა აქვს, აქ ყველა პროდუქტი მოდის, პროდუქტს გასაღება სჭირდება, ამაზე უკეთესი მდებარეობა საქართველოში არც ერთ რაიონს არ აქვს. მაგრამ ამ პროდუქტებს მხოლოდ ადგილობრივად მოიხმარენ. ამ რაიონს შეუძლია ისე წინ წაწევა, რომ ყველას გაუსწროს, მაგრამ მაშინ ძალიან უნდა სტკიოდეს გული ადამიანს და ძალიან უნდა მოინდომოს, არაჩვეულებრივი, ნიჭიერი ახალგაზრდობა წავიდა ამ ქალაქიდან, მიდიოდნენ და აღარ ბრუნდებოდნენ, გასაქანი არ ჰქონდათ, მე გული შემტკივა ამ ქალაქზე, მინდა გაცილებით უკეთესი იყოს იგი. მაგრამ საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ, ძალიან დაგვიანდება ეს”.

ჩვენი რესპონდენტი უცხოეთში განათლების მიღების თემასაც ეხება, მისი აზრით, საზღვარგარეთ სასწავლებლად სკოლის შემდეგ არ უნდა მიდიოდეს ახალგაზრდა.

“სასწავლებლად იმიტომ მიდიან, რომ აქ რაც შეიძლება სწრაფად ავაშენოთ საბაზრო ეკონომიკა. საბაზრო ეკონომიკას თავისი წესები აქვს: უცხოელებს კი უნდათ მოგვეხმარონ, მაგრამ ჩვენს გამო ისინი ვერ დაბრუნდებიან 30 წლით უკან და ჩვენ ვერ გაგვიტოლდებიან. ისინი თავიანთი პროგრამით ასწავლიან, იმათ მოსწავლეს სხვაგვარი მომზადება აქვს სკოლაში, ჩვენს მოსწავლეს _ სხვანაირი. სპეციფიკურია სალაპარაკო და სპეციფიკური _ სწავლების ენა. როგორც არ უნდა ისწავლოს ჩვენმა სტუდენტმა, აქ დაბრუნებული ვერ გამოიყენებს იმ ცოდნას, იმიტომ რომ, ეკონომიკა მიდის წინ, ის რომ მიდის იქ, სწავლობს, როგორ ხდება ბიზნესის წარმოება ამერიკასა და ინგლისში, მაგრამ ჩვენ აქ იმ დონეზე ვართ? ის იმდენ შრომას ხარჯავს, დროს აცდენს და აქ მაინც ვერ იყენებს, ჯერ ერთი, ჩვენ ამიტომ არ გვაქვს ბიზნესში წარმატება, რომ გადმოგვაქვს პირდაპირ ის, რაც განვითარებად ქვეყანაშია და ის რამდენი წლით არის წინ წასული! ამიტომ, ჯობია, აქ ვასწავლოთ ის, რაც არის და როცა დაამთავრებს, ან როცა მე-5 კურსზე იქნება, დამატებით სასწავლებლად მერე გავგზავნოთ უცხოეთში. სკოლას როცა ამთავრებს ბავშვი, მას არ ვასწავლით ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობებს და მეურნეობის განვითარების დონეს. მიდის და სწავლობს, როგორ არის ამერიკაში. მაგალითად, საშუალო ბიზნესი ამერიკაში 1500 კაცს მოიცავს, ჩვენთან კი, 100-ს. იმის ეკონომიკას და მართვას რომ ასწავლი, ეს სად გამოიყენოს აქ მან?! იკარგება დრო, ცოდნა, არ აქვს შედეგი. ამიტომ, ჯერ ჩვენ ვასწავლოთ, ეს საფეხურები გავატაროთ, ბიზნესი ხომ ჩვენთვის ძალიან ახალია. “ბიზნესი” ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს წარმოებას გაყიდვისათვის. ყველაზე უკეთესი ბიზნესი ისაა, როცა შენ აწარმოებ და შენს ნაწარმს გაყიდი მოგებით, მაშინ სამუშაო ადგილიც იქმნება და ყველა პრობლემა იხსნება. ჩვენ ვერ ვიყენებთ ჩვენს რესურსებს, თუ ვიყენებთ, ვყიდით, დაუმუშავებელს _ რესურსს. რესურსით ვერ გავმდიდრდებით, ეს რესურსი პროდუქტად უნდა ვაქციოთ, ხალხსაც დავასაქმებთ და ის დამზადებული პროდუქტი მეტი ღირს, ვიდრე ნედლეული. ნედლეული ღირს კაპიკები. თუ ასე ვივლით, კიდევ 30 წელს ვერაფერს გავაკეთებთ. ჩვენ სულაც არ ვართ განვითარებადი საერთო კულტურაში, პირიქით, სხვებზე ბევრად წინა ვართ, მაგრამ ამ დარგში, რომელმაც მთელი მსოფლიო სიღატაკიდან იხსნა, ამ საბაზრო ეკონომიკამ ააყვავა ჩამორჩენილი ქვეყნები, ვართ ძალიან დაბალ დონეზე. ამას უამრავი მიზეზი აქვს.

ვეტერინარიის მსოფლიო დღე

წელს მხოლოდ დედაქალაქში აღინიშნა, თუმცა ვაქცინაცია რეგიონებში გეგმიურად ტარდება. არცთუ მკაცრი ზამთარი გავინაპირეთ და საგაზაფხულო აცრებიც მიმდინარეობს. თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვებში გაღმა ზონის ყველა სოფელში, ასევე, დიდ ჯიხაიშში, ბაშსა და იანეთში წარმოებს.

სამწუხაროდ, ბაშის მკვიდრი, ქალბატონი ქეთევან გერაძე დაავადდა ყირიმ-კონგოს დაავადებით, რაც მწერებით გადადის. ქალბატონმა დროულად მიმართა სამედიცინო დაწესებულებას, პაციენტი ექვემდებარება მკურნალობას, ამჯერად მისი მდგომარეობა სტაბილურია. ამ ფაქტთან დაკავშირებით ბაშში, მიმდინარეობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დეზინფექცია ტკიპების საწინააღმდეგოდ, რაკი დაავადება სწორედ ტკიპებითა და მწერების მეშვეობით გადადის.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს სამტრედიის წარმომადგენლობის ვეტერინარმა სპეციალისტმა, ბატონმა ზაზა მეგრელიშვილმა განაცხადა, მაისის შუა რიცხვებიდან ჯილეხის საწინააღმდეგო აცრები დაიწყება კეროვან ადგილებში.

დროული ვაქცინაცია დაავადებების თავიდან აცილების ერთადერთი პირობაა.

ლევან გაბეჩავა

მადლობა

ამ დღეებში ჩვენთან, რედაქციაში თვალცრემლიანი ქალბატონი მოვიდა, რომელმაც გვთხოვა, გაზეთის მეშვეობით მადლობა გამოეხატა მე-10 საჯარო სკოლის დირექტორის, თამარ თევზაძის, პედაგოგების, ქეთევან ახალაძისა და თეა ყენიას მიმართ.

ეს ქალბატონი ლუიზა ეფენიაა, რომელიც მარტოხელა, მრავალშვილიანი დედაა, მე-4 და მე-7 კლასელ გოგონებთან, მარიამთან და ნატალიასთან ერთად სხვის სახლშია შეკედლებული. მისი თქმით, მე-10 საჯარო სკოლის დირექცია მარიამ და ნატალია ეფენიების მიმართ სხვადასხვა ფორმით მუდმივად იჩენს ყურადღებას.

ნინო ნანიტაშვილი

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს ნატო და თემურ მიქაძეებს მაზლისა და ძმის,

გიას

გარდაცვალების გამო.

მე-11 საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაუგრძნობს პედაგოგ ციცინო თარგამაძეს

მეულლის

გარდაცვალების გამო.

მე-11 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეები, დამრიგებელი ხათუნა ჩხეკვაძე და მოსწავლეთა მშობლები თანაუგრძნობენ მონიკა მიქაძესა და პედაგოგ ციცინო თარგამაძეს მამისა და მეულლის გარდაცვალების გამო.

შოთა ბესარიონის ძე გეგია

დიადი გამარჯვების 70 წლის იუბილეს ზეციურ სასუფეველში გილოცავთ, ჩვენი სამშობლოსათვის ვალმოხდილო მამა! შენ იყავი გმირი, 21 წლის ბიჭმა შესწირე ცალი ფეხი ომის საშინელ ტრაგედიას. დემობილიზებული დაუბრუნდი შენს საყვარელ სამტრედიას, სადაც დაიბადე და გაიზარდე. შემდეგ დოვჯხდი. დედამ, ღირსეული მეუღლეობა გაგიწია. დედა, ქეთევან მანჯგალაძე მეუღლისა და შვილების საამაყო ქალბატონი იყო. მუდამ თქვენს გვერდით მდგომი, მშრომელი სამი შვილი აღზარდეთ. იყო წლები, როცა შენი შვილი წარგზავნილი ვიყავი საქართველოს დელეგაციასთან ერთად ბალტიისპირეთის, ბელორუსიისა თუ უკრაინის ქვეყნებში და მიმეგო პატივი, იმ გმირებისათვის რომელთაც თავიანთი სამშობლოს მიწა არ ღირსებიათ. მათ შორის ჩვენი ოჯახიდან შენი ორი ძმა, ვალოდია და ალექსანდრე გეგიებიც იქ განისვენებენ. საუკუნეები ვერ განკურნავს მილიონობით დაღუპულ იმ ადამიანთა რიცხვს. ამიტომ გიყვარდა განსაკუთრებით 9 მაისის მოახლოება, რასაც მხოლოდ 34-ჯერ მოესწარი. იყავი საამაყო, ღირსებით გამორჩეული, დიდი სულისკვეთებით გამსჭვალული, ხალხის დიდი მოსიყვარულე და უპრეტენზიო _ ასეთი ახსოვხარ შენს სამტრედიას, სადაც ერთ დროს შენი შოთა ბესარიონის ძე გეგია განუყრელი ხელჯოხით დააბიჯებდი.

შვილები: გულნარა, ნანი, ლალი გეგიები

ბატონ ვასილ ქავთარიას გახსენება



უთქვამთ, წაქცეული ხე ადვილად იზომებაო, ასეა ადამიანიც, მისი პიროვნული თვისებებით წუთისოფლიდან წასვლის შემდეგ უფრო თვალში საცემი ხდება.

საკუთარი თავის წარმოჩენა და განდიდება არ უყვარდა. ღირსეულად იცხოვრა. იყო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, ოფიცერი. დაჯილდოვებული იყო მედლებით.

1970 წლიდან (პენსიაზე გასვლამდე) მუშაობდა სამტრედიის № 28 ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში საწარმოო სწავლების ოსტატ-მასწავლებლად.

იყო კეთილშობილი, პატიოსანი, ყურადღებიანი. არასოდეს ავიწყდებოდა 8 მარტი, ყველა ქალბატონს იების კონებს გვჩუქნიდა. ასე გამოხატავდა პატივისცემას ქალების მიმართ.

ღმერთმა ნათელში დაუმკვიდროს სასუფეველი!

რეზა ლაბარტყავა

კარატისტთა წარმატება

18-19 აპრილს ქ. თელავში ჩატარდა საქართველოს კიოკუშინკაი-კან-ის ფედერაციის (ტეზუკას ჯგუფი) ღია ტურნირი კონტაქტიან კარატეში 18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის. სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ თბილისის სამი გუნდი, ბორჯომის, გარდაბნის თელავის, აშიხარა კარატის, კიოკუშინკაის კავშირის, კიოკუშინკაი კარატეს (მაცუშიმას ორგანიზაცია) კლუბებისა და ფედერაციების წარმომადგენლები. მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრები (დირექტორი გენო ნიკურაძე, მწვრთნელ-მასწავლებელი სენსეი მიხეილ ქანთარია)

ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს, პირველი ადგილი და ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს 35 კილოგრამ წონით კატეგორიაში თორნიკე გაგუამ. აბსოლუტურ წონით კატეგორიაში _ რევაზ გიგაშვილმა.

სამომავლოდ სამტრედიელი კარატისტები ივნისში მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ჩემპიონატში, რომელიც დედაქალაქში გაიმართება.

"სამტრედიის მაცნე"

ბეჭან გოგიას!

"ცისარტყელას" ფავორიტი
მაშინ გახდა ჩვენი მერი,
როცა ქალაქს ყველა მხრიდან
ესეოდა უხვად მტერი.
ახლა გაზეთს ხელმძღვანელობს,
სათანადო მმართველია,
ისეთია, როგორსაც კი
ნატრობს ყველა ქართველია.
ეს ხომ ბეჭან გოგიაა,
მუსიკის და შარჟის "მცველი",
გაუკენწლავი არ რჩება
მომხვეჭელი და მძარცველი.
თუმცა სულით ახალგაზრდა,
უკან ტოვებს ათეულებს,
მივულოცავთ და ვუსურვებთ
სიტკბოებას მარად ულევს!

ვლადა პაპავა
30. 04. 2015

აზერბაიჯანიდან ჩამოტანილ მედლებზე

რამდენიმე სამტრედიელი მოჭიდავე საქართველოს ნაკრების წევრი რომ არის, დაგვეთანხმებით, მუნიციპალიტეტისთვის დიდი მიღწევა, საჭიდაო სკოლისთვის კი წარმატებაა. სამტრედიელ მოჭიდაველებზე, მათი გამარჯვებების გამო, ხშირად წერს "სამტრედიის მაცნე." ამჯერადაც, 17-19 აპრილს, ბაქოში, აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის თასზე გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ისახელეს თავი. რანგითა და პრესტიჟულობით ეს ტურნირი დიდად არ ჩამოუვარდებოდა ევროპის ჩემპიონატს _ ასეთია სპეციალისტების აზრი. რაც შეეხება სამტრედიელი მოჭიდაველების წარმატებას, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი მელია დაეუფლა მესამე საპრიზო ადგილს, ხოლო თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის 76 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ბენო მეგენეიშვილი მეორე, ივერი ჯულაყიძემ კი 69 კოლოგრამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილის მფლობელი გახდა. "აღსანიშნავია, რომ ეს ტურნირი ფასიანი იყო და სერიოზული სპორტსმენებით გახლდათ დაკომპლექტებული, სოლიდური საპრიზო ფონდის გამო. ვულოცავ ჩვენს ბიჭებს, მათ მშობლებს, საჭიდაო კლუბ "ფალავანის" დირექტორ ირაკლი მელაძეს და მთელ მის კოლექტივს ამ წარმატებას. სხვა მრავალიც ხშირად გვეზეიმოს."_ ამბობს საჭიდაო კლუბ "ფალავანის" მთავარი სპეციალისტი ვეფხია სტურუა.

ყველა ეს სპორტსმენი საჭიდაო კლუბ "ფალავანის" აღსაზრდელია. გიორგი მელიას, გიორგი ვახტანგაძე, ივერი ჯულაყიძესა და ბენო მეგენეიშვილს კი ვეფხია და ლაშა სტურუები წვრთნიან. აქვე აღნიშვნის ღირსია, რომ ბენო მეგენეიშვილი ერთადერთი სპორტსმენი იყო საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, რომელმაც ფინალში იჭიდავა და იგი აზერბაიჯანელ სპორტსმენთან დასთმო.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში სამტრედიიდან 3, ახალგაზრდულ ნაკრებში 6, ხოლო დიდებში, 2 სპორტსმენი ირიცხება.

თეა ბაბუნაშვილი

ბეჭან გოგიას!

დაბადების დღეს გილოცავთ, წელთა მატებას მხოლოდ სიხარული, სიკეთე, ხვავი და ბარაქა მოეტანოს. ოჯახურ ბედნიერებას და უბერებელ სიყვარულს ეზეიმოს თქვენს ჭერქვეშ, პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში წინსვლა და წარმატებები არ მოგიშალოთ უფალმა. ღმერთი ფარავდეს თქვენს ყოველდღიურობას!

"სამტრედიის მაცნე"

შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორს, ბატონ ბეჭან გოგიას ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ხანგრძლივ ცხოვრებას საყვარელ ოჯახთან ერთად.

უფალი იყოს მისი მფარველი!

საქართველოს ღვის, შრომისა და სამხედრო კალეგის ვეტერანთა სამტრედიის რაიონული კავშირი

საყვარელო ბაბუ გილოცავთ დაბადების დღეს. გაიხარე შენს ოჯახთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად.

დღეგრძელობას და ჯანმრთელობას გისურვებთ. გვეამაყები. დიდხანს გეიმედებოდეთ.

მარი, ლუკა და ბარბარე

ბატონო ბეჭან!

სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. გმადლობთ ჩვენდამი გამოჩენილი გულისხმიერებისათვის ვეცდებით გავამართლოთ თქვენი იმედები.

ჯგუფი "ლაღი"

ბატონ კორნელი ჩიხლაძეს!

ღვაწლმოსილ ჟურნალისტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს გილოცავთ დაბადების დღეს. ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს გისურვებთ!

"სამტრედიის მაცნე"

ბატონ რომან ბექაიას!

ჩვენს უფროს კოლეგას, სამტრედიის საპატიო მოქალაქეს პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობასა და უფლის წყალობას გისურვებთ, ჩვენო რომან. იხარე და იდღეგრძელე!

"სამტრედიის მაცნე"

ზეზა სანიკიძეს!

ჩვენს კოლეგას, ნიჭიერ ჟურნალისტს და კარგ მეგობარს ვულოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, წარმატებებსა და ჩანაფიქრის ასრულებას ვუსურვებთ.

"სამტრედიის მაცნე"

ანდრია მეფარიშვილს!

3 წლის შესრულებას გილოცავთ, პატარავ, დიდი, ჯანმრთელი და სასახელო ბიჭი გაიზარდე. შენი კარგი კაცობით გაგეხარებინოს მშობლები, ბებია-ბაბუები და შენი დიდი ბებო _ მაყვალა ჩირგაძე. ჩვენ, მის მეგობრებს ყველაფერი საუკეთესო გვემეტება შენთვის, მისთვის ყველაზე საყვარელი არსებისთვის.

მრავალ დაბადების დღეს დაესწარი, ბედნიერი ბავშვობა გქონოდეს!

ნათელა გელეიშვილი
ნინო ნანიტაშვილი
ქეთევან ჭელიძე

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა